

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2011, №4-6

სისხლის სამართლის პროცესი

საძიებელი

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება
2. განსჯადობა
3. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში
4. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე
5. გირაო
6. საპროცესო შეთანხმება
7. ექსტრადიცია
8. საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა
9. საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმა
10. საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა
სამოქალაქო სამართალწარმოების წესით
11. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა

1. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

განჩინება

11074-აპ-10

4 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

ი. ტყეშელაშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის დეპარტამენტის პროკურორ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის გამამართლებელ განაჩენზე ლ. მ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენით ლ. მ-ი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის II ნაწილითა და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის თანახმად, გამართლებულ ლ. მ-ს სსკ-ის 219-ე-229-ე მუხლების თანახმად, უფლება აქვს, მიიღოს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, რის შესახებაც სასამართლოში განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დღიდან 6 თვეში.

საბრალდებო დასკვნით, ლ. მ-ს ბრალი დაედო ცრუ დასმენისათვის, რასაც თან ერთვის ბრალდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ანგარებით ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის გაზაფხულზე იმ პერიოდისათვის უმუშევარ ლ. მ-ს პაპამისმა, მ. მ-მა შესთავაზა დახმარება სამეწარმეო საქმიანობის დაწყებასა და ამ გზით პირადი შემოსავლების მიღებაში. ისინი შეთანხმდნენ, რომ ლ. მ-ი დაარეგისტრირებდა ინდივიდუალურ საწარმოს, ხოლო მ. მ-ი გადასცემდა მას თანხას სხვადასხვა მოძრავი მანქანის ჩინეთის რესპუბლიკიდან ჩამოყვანისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით. იმავე შეთანხმებით, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება დარჩებოდა ლ. მ-ს, რომელსაც, თავის მხრივ, პაპისათვის – მ. მ-ისათვის დროთა განმავლობაში უნდა დაებრუნებინა სამეწარმეო საქმიანობისათვის მისგან მიღებული თანხები. მ. მ-მა შვილიშვილის სამეწარმეო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად „პ. ბ-ში“ გახსნა საკრედიტო ხაზი, ამავე ბანკიდან გამოიტანა და ლ. მ-ს საერთო ჯამში გადასცა 130 340 აშშ დოლარი და 33 050 ლარი, მათ შორის, ჩინეთში 10 კვადროციკლის შეძენის, ტრანსპორტირების, განბაჟებისა და სხვა ხარჯების დასაფარად – 31 490 აშშ დოლარი და 9 050 ლარი. მათ შვიდი კვადროციკლი შეინახეს მ. მ-ის აგარაკზე, ხოლო სამი მათგანი ლ. მ-მა გაასხვისა სხვადასხვა მოქალაქეზე.

ლ. მ-მა არსებული შეთანხმება დაარღვია და მ. მ-ს 2005-2006 წლებში დაუბრუნა მხოლოდ 2000 აშშ დოლარი. აღნიშნულის გამო მ. მ-ს გაუჭირდა „პ. ბ-ის“ მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულება – ძირითადი თანხისა და მისი სარგებლობის პროცენტის გადახდა და იძულებული გახდა, ლ. მ-ისათვის ეთხოვა მასთან შენახული შვიდი კვადროციკლის გაყიდვიდან მიღებული თანხის მისთვის გადაცემა. ლ. მ-მა არაფრად ჩააგდო მისივე ქმედებით გამოწვეული მ. მ-ის ზემოხსენებული ფინანსური პრობლემა და ნაცვლად იმისა, რომ საკრედიტო დავალიანების დასაფარად მისთვის გადაეცა კუთვნილი თანხა ან მისი ნაწილი, განიზრახა ანგარების მოტივით, ცრუდ დაესმინა საკუთარი პაპა – მ. მ-ი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და სამართალდამცავი ორგანოების შეცდომაში შეყვანის გზით, შესაბამისი სამართლებრივი იძულების მექანიზმების ამოქმედების შემდეგ, რეალიზაციის მიზნით დაუფლებოდა მ. მ-ის ფულადი სახსრებით შეძენილ და მასთანვე შესანახად მოთავსებულ შვიდ კვადროციკლს.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2007 წლის 19 აპრილს ლ. მ-მა წერილობითი განცხადებით მიმართა შსს ძველი თბილისის სამმართველოს მე-4 განყოფილებას და ითხოვა მ. მ-ის მიერ 49 000 ლარად ღირებული შვიდი კვადროციკლის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყება და ამავე ფაქტზე სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ვინაიდან შსს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომელთათვის არ იყო ცნობილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები თანხის კუთვნილებისა და ლ. და მ. მ-ის შეთანხმების შესახებ, იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის¹... საქმეზე დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. ამასთან, ლ. მ-მა ზემოხსენებული კვადროციკლების და-

უფლების მოტივით, როგორც განცხადებაში, ასევე ამავე საქმეში ცრუ დასმენაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილების შემდეგ, 2007 წლის 19 აპრილსა და 18 მაისს, დაზარალებულის სახით დაკითხვისას, შეგნებულად არასწორი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას. მან აღნიშნა, რომ კვადროციკლების შესაძენად მ. მ-ს მისთვის თანხა არ მიუცია და ეს მანქანები შეიძინა დედის – თ. გ-ის მიერ გადაცემული თანხით, თუმცა მოგვიანებით, 2008 წლის 16 ივლისს მოწმის სახით დაკითხვისას აღიარა, რომ შეგნებულად იცრუა და კვადროციკლების შესაძენად თანხა პაპისაგან – მ. მ-ისაგან მიიღო, ხოლო განცხადება პოლიციაში იმიტომ შეიტანა, რომ ამ გზით სურდა კვადროციკლების მიღება და მათი შემდგომი რეალიზაცია.

ლ. მ-ის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება წინასწარმა გამოძიებამ დააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის II ნაწილითა და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის განაჩენით ლ. მ-ი გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სახელმწიფო ბრალმდებელმა, რომელმაც ითხოვა განაჩენის შებრუნება მსჯავრდებულის საუარესოდ, მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 373-ე მუხლის II ნაწილითა და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა ლ. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

მსჯავრდებულის ადვოკატმა ლ. კ-ემ შესაგებლით ითხოვა, რომ უარი ეთქვას პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დარჩეს ძალაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ პროკურორ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ლ. მ-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეალური ვითარების გარკვევა და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ლ. მ-ის მიმართ დამდგარ გამამართლებელ განაჩენთან მიმართებით.

სააპელაციო პალატამ უნდა გამოიკვლიოს ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, როგორებიცაა ლ. მ-ის 2007 წლის 19 აპრილის განცხადება, სსკ-ის 370-ე–371¹ და 373-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაფრთხილების შესახებ ხელწერილი და მის მიერ წინასწარი გამოძიებისას დაზარალებულის სახით მიცემული ჩვენებები, რის შემდეგაც სხვა მტკიცებულებებთან ერთად აღნიშნული მტკიცებულებების შეფასებისა და მათი ხელახალი გამოკვლევის შედეგად სასამართლომ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ლ. მ-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

განჩინება

127-აპ-11

9 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 სექტემბრის განაჩენით ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 12 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 2 ივლისს ქ. გორში, ... ქუჩის 1...ში მცხოვრები ლ. გ-ი მივიდა მეგობართან, ქ. გორში, ... გამზირის 1...-ში მცხოვრებ შ. თ-თან, რომელიც აღნიშნავდა მამის – ზ. თ-ს დაბადების დღეს, სადაც დალია ალკოჰოლური სასმელი. სუფრაზე ლ. გ-ს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა შ. თ-თან მამიდამისის ვალთან დაკავშირებით, რის შემდეგაც დაახლოებით 22 საათზე წავიდა თავის საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულის შემდეგ ლ. გ-მ და შ. თ-მ ტელეფონზე საუბრისას ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულზე განაწყენებულმა ლ. გ-მ განიზრახა შურისძიების მოტივით შ. თ-ს მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. გ-მ სახლიდან აიღო დანა, დაახლოებით 23 საათსა და 50 წუთზე მივიდა შ. თ-ს საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ამ უკანასკნელს და მოსთხოვა ეზოში ჩასვლა. შ. თ-ი ჩავიდა ეზოში და გაჩერდა კორპუსის გვერდით, ... გამზირზე მდგარი რკინის ჯიხურის წინ. მასთან მივიდა ლ. გ-ი და განზრახ მოკვლის მიზნით, თანაქონი დანით მიაყენა სამი ჭრილობა მუცლის, მარჯვენა ფერდისა და მარცხენა მხრის არეში. ლ. გ-მ განზრახ მოკვლის მიზნით მას კვლავ მოუქნია დანა. შ. თ-მ სცადა დანის წართმევა, რა დროსაც მარჯვენა ხელის მტევანზე მიიღო დაზიანება. ამის შემდეგ იგი გაიქცა შემთხვევის ადგილიდან, ლ. გ-ი გაეკიდა მას, მაგრამ ვერ დაეწია, რის გამოც თავისი დანაშაულებრივი განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ლ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ლ. გ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: დაზარალებულ შ. თ-ს, მოწმეების – ს. ვ-ს, მ. კ-ს, ბ. ფ-ს, ლ. თ-ს, ა. ა-ს, ხ. შ-ს, თ. მ-ს, ლ. ბ-ს, ზ. თ-ს ჩვენებებით, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური, კრიმინალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობისა და დართვის შესახებ დადგენილებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს არ გაუკეთებიათ.

საქართველოს სსსკ-ის 475-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამოძიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე, იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

საქმის მასალების მიხედვით, 1-ელი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს საქმის განხილვისას საერთოდ არა აქვთ გამოკვლეული მსჯავრდებულ ლ. გ-ს პასუხისმგებლობის შემამუბუქებელი გარემოებები.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ კი გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

განჩინება

141-11

17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის განაჩენით ა. ჯ-ე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 4 მაისიდან.

განაჩენით ა. ჯ-ეს მსჯავრი დაედო ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006-2007 წლებში „ს. ბ-ში“ შპს „გ-ის“ სასარგებლოდ გაიხსნა 6 000 000 აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი, რომლის ფარგლებშიც ფირმამ სხვადასხვა დროს დანიშნულებისამებრ გამოიტანა და დახარჯა რამდენიმე მილიონი აშშ დოლარი.

2009 წლის მარტში შპს „გ-ს“, გრაფიკის თანახმად, კრედიტის დასაფარად გადასახდელი დარჩა 1 200 000 აშშ დოლარი. კრედიტის დასაფარად ბანკიდან შეღავათიანი პირობების მიღების მიზნით, ფირმის დირექტორმა ა. ჯ-ემ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დაამზადა ყალბი დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ სს „ს-ოს“ შპს „გ-ის“ წინაშე გააჩნდა 937 027 ლარის დავალიანება და მას გადაიხდიდა ეტაპობრივად – 2009 წლის მაისიდან 2009 წლის ოქტომბრის პერიოდში. აღნიშნულ დოკუმენტზე სს „ს-ოს“ გენერალური დირექტორის მოადგილის – გ. ჩ-ას სახელით ხელი თვითონ მოაწერა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი შინაარსის შემცველი დოკუმენტი წარუდგინა „ს. ბ-ის“ წარმომადგენელ ლ. კ-ეს.

წარდგენილი ყალბი დოკუმენტი 2009 წლის 30 მაისს განსახილველად გაიტანეს „ს. ბ-ის“ კომიტეტის სხდომაზე და მიიღეს გადაწყვეტილება შპს „გ-ისათვის“ გაყალბებულ დოკუმენტში მითითებული პერიოდის ფარგლებში კრედიტის დასაფარად შედგენილი გრაფიკის გადაწევის შესახებ. აღნიშნული ქმედებით „ს. ბ-ი“ შეეყვანა იქნა შეცდომაში, რამაც მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, რადგანაც შპს „გ-ის“ მიერ ბანკიდან მიღებული კრედიტი დღემდე არ არის დაფარული, რის გამოც ბანკმა დაკარგა დიდი ოდენობით ფულადი დივიდენდი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ჯ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ემ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ცვლილების შეტანას გასაჩივრებულ განაჩენში და ა. ჯ-ისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლას ჯარიმით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

იმის გამო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენზე საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ერთთვიან ვადაში, რითაც დარღვეულია საქართველოს სსკ-ის 550-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, 2011 წლის 31 იანვარს მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ადვოკატმა მ. კ-ემ კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მისი ავადმყოფობის გამო გაცდენილი განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ერთთვიანი ვადის აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. კ-ემ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინების გაუქმება და საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ერთთვიანი ვადის აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით, იურიდიული პირი საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით, ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენი ა. ჯ-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს კასატორის მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ იურიდიული პირი საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის დაისაჯოს მხოლოდ ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით, რადგან იმავე კოდექსის 107¹ მუხლის VI ნაწილით: „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ა. ჯ-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ხელახალი ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენი ა. ჯ-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

განჩინება

122-აპ-11

17 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ყ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით ყ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსსკ-ის 322¹ მუხლის 1-ელი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 1 სექტემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ყ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

... ფედერაციის მოქალაქეს, ... მცხოვრებ ყ. მ-ს სურდა რა კომერციული მიზნით ... ფედერაციიდან ... რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩამოსვლა საკუთარი სატვირთო ა/მანქანით, 2010 წლის 31 აგვისტოს ... გაემგზავრა ... რესპუბლიკაში, სადაც დაბა ..., ა/მანქანა დატვირთა სამშენებლო ქვიშით და იმავე დღეს გამოემართა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, იგი ... გვირაბის გავლით შევიდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ჩავიდა ..., საიდანაც 2010 წლის 1 სექტემბერს ცდილობდა ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე მოხვედრას, რა დროსაც დაახლოებით 12 საათზე, ... რაიონის სოფელ ..., როდესაც ფეხით გადაადგილდებოდა, დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ყ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ჯ-ს საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და ყ. მ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ ყ. ძ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 322¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: ექვმიტანილის დაკავების ოქმით, მოწმეების – ა. ა-ს, ჯ. ო-ს ჩვენებებით, ჩატარებული საგამომიებო მოქმედების – ამოღების კანონიერად ცნობის დადგენილებით, განსასჯელ ყ. ძ-ს პასპორტის ასლითა და თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენით სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულ ყ. ძ-ს მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამუბუქებელი გარემოებები.

საქართველოს სსსკ-ის 475-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო გამომიება შედგება განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, აგრეთვე იმ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულ ყ. ძ-ს ადვოკატმა დაცვით სიტყვაში მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამუბუქებელ გარემოებად მიუთითა იმაზე, რომ ყ. ძ-ს კმაყოფაზე ჰყავს ოჯახი – სამი შვილი, მეუღლე და პენსიონერი დედა. სასამართლო განხილვისას აღნიშნული გარემოების შეუფასებლობამ კი გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ, ვინაიდან საკასაციო ინსტანციის სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, საკასაციო ინსტანციით საქმის განხილვისას, გამოიკვლიოს ზემოაღნიშნული გარემოებები, ამიტომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ყ. ძ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის განაჩენის გაუქმება და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება

განჩინება

1300-აპ-11

12 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. კ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 დეკემბრის განაჩენით ნ. კ.-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 13 სექტემბრიდან.

ნ. კ.-ს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ნ. კ.-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა «მერსედეს-ბენცი», სახელმწიფო ნომრით «1...» და შემდგომი განკარგვის მიზნით გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მომსახურების სააგენტოს.

განაჩენით ნ. კ.-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. კ.-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0119 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველი აბი და აბის ერთი ნატეხი, საიდანაც ნაწილს – 0,008 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ ერთ აბს უკანონოდ ინახავდა პირადად, ნაწილი კი – 0,0039 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ერთი ნატეხი უკანონოდ შეინახა თავის კუთვნილ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში, რომლის სახელმწიფო ნომერია «...».

2010 წლის 13 სექტემბერს სოფ.-ის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, შ. ნუცუბიძის ქ. 1...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ნ. კ.-ი, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0,008 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველი ერთი აბი, ხოლო მისი კუთვნილი „მერსედეს-ბენცის“ მარკის «1...» ავტომანქანის ჩხრეკისას – 0,0039 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ერთი ნატეხი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ა. ჩ.-მა და ბ. ჩ.-მა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩხრეკა ჩატარდა კანონდარღვევით, მსჯავრდებულს არ მიეცა დამსწრეთა მოწვევის უფლება, არ გადასცეს ჩხრეკის ოქმი; მისი დაკავებისას გამოიყენეს ძალადობა; ექსპერტიზა ჩატარდა ნივთებზე, რომლებიც არ იყო ცნობილი ნივთმტკიცებად; დალუქულ ნივთებზე ხელმოწერები არ აღინიშნებოდა; ასევე უკანონოდ იქნა მიჩნეული ავტომანქანა დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთად.

ამდენად, აპელანტებმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. კ.-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. ჩ.-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განაჩენი ნ. კ.-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ნოდარ კუპრეიშვილის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. კ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ა. ჩ.-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განაჩენი ნ. კ.-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. განსჯადობა

განჩინება

1105-აპ-11

24 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. კ.-ის დამცველის, ადვოკატ გ. ჯ.-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 3 ნოემბრის განაჩენით ზ. კ.-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით იმისათვის, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. კ.-ი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად გაიწვიეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში. სამხედრო ნაწილი¹ მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 23 მარტის ბრძანებით იგი ჩაირიცხა პირად შემადგენლობაში და მიენიჭა სამხედრო წოდება „რიგითი“, ხოლო 2010 წლის 1 აპრილის ბრძანებით შემდგომი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასაგრძელებლად გადაიყვანეს ხაშურის რაიონის სოფ. ... და დაინიშნა მე-2 ასეულის მსროლელად.

2010 წლის 23 ივნისს ზ. კ.-ი იმყოფებოდა¹ სამხედრო ნაწილის სადღეღამისო განაწესში¹⁷-ე საგუშაგოზე, გამოიჩინა დაუდევრობა, კერძოდ, გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება ევალებოდა და შეეძლო კიდევ, ცვლის უფროსების ბრძანებაზე განემუხტა დამუხტული იარაღი, მჭიდის გაუხსნელად განემუხტა მასზე გაპიროვნებული „აკ-74“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და განახორციელა საკონტროლო გასროლა, რის შედეგადაც გასროლილი ჭურვი მოხვდა გუშაგ ზ. კ.-ის ავტომატს, იქიდან ასხლეტილი ფრაგმენტები კი – თვითონ ზ. კ.-ს, რამაც სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ზარისხის დაზიანება გამოიწვია.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. კ.-ს განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. გაუქმდა მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღის მოხსნა ბაღდათის რაიონის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთებს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა გ. ჯ-მა და ითხოვა ზ. კ-ისათვის სასჯელის ზომად ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – ადვოკატი გ. ჯ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულმა ზ. კ-მა სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული, ხელი შეუწყო საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას; იგი არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიშ პირს, სამხედრო ნაწილიდან გაცემული ცნობით ხასიათდება დადებითად; სასამართლომ არ გაითვალისწინა კ-ების ოჯახის სოციალური მდგომარეობა – ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მათ არ გააჩნიათ საცხოვრებელი სახლი, რაც საქმის მასალებითაც დასტურდება; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზ. კ-მა ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული და საქმეშია დაზარალებულ ბ. კ-ის ნოტარიულად დამოწმებული ხელწერილი, რომ მას მსჯავრდებულის მიმართ პრეტენზია არა აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულ ზ. კ-ის სასიკეთოდ მისი სოციალური სტატუსის მხედველობაში მიღებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. კ-ის მიმართ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის ინტერესების დამცველის სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მე-5² ნაწილის მოთხოვნა, კერძოდ: «სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ან მუხლის ნაწილი სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას ან პროკურორი გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას». ვინაიდან ზ. კ-ის მიმართ დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი, მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და მსჯავრდებული არ ითხოვდა გამართლებას, საკასაციო პალატას აღნიშნავს, რომ ზ. კ-ის სისხლის სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არ ექვემდებარებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა განეხილა მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ზ. კ-ის სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010 წლის 29 დეკემბერს გამოტანილი განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო აღნიშნული განაჩენის თაობაზე ადვოკატ გ. ჯ-ის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ზ. კ-ის მიმართ გაუქმდეს.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში

განჩინება

11110-აპ-10

30 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ს-ისა და დაზარალებულ კ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის განაჩენით ზ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (სსკ-ის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა საქმიანობისა და თანამდებობის დაკავების უფლება. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 12 სექტემბრიდან.

განაჩენით ზ. ს-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ არაერთგზის ჩაიდინა თავის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, რაც გამოიხატა შემდეგში:

1999 წლის 14 სექტემბერს ექიმთა დიპლომშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის შრომითმა კოლექტივმა შეიძინა ქ.თბილისში მდებარე, ამავე აკადემიის დაუმთავრებელი შენობა, ხოლო შენობის მესაკუთრეთა შრომითი კოლექტივი ჩამოყალიბდა ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობად «მ-ს» სახელწოდებით, სადაც შპს «პ.შ-ს ს.თ.ს.ა.» მიღებულ იქნა წევრად, რომლის წილი ამხანაგობა «მ-ში» განისაზღვრა 51%-ით, ხოლო დანარჩენი ფიზიკური პირების წილი – 49%-ით.

2000 წლის 28 იანვარს ზ. ს-მ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში რეგისტრაციაში გაატარა შპს «ს-ი», რომლის დამფუძნებელი, 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია თავად ზ. ს-ე. იგი დაუკავშირდა ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა «მ-ს» გამგეობის იმჟამინდელ თავმჯდომარე თ. შ-ს, ამავე ამხანაგობის წევრებს და შესთავაზა მათ აღნიშნული დაუმთავრებელი შენობის ექსპლუატაციაში შესასვლელად საჭირო ყველა სამუშაოს შესრულება, რაშიც ამხანაგობის წევრების მხრიდან მოითხოვა წინასწარი ეტაპობრივი დაფინანსება.

ზ. ს-მ 2001 წლის 12 აპრილს შპს «ს-ს» სახელით ე.წ. «ჩარჩო» (ძირითადი) ხელშეკრულება გააფორმა ამხანაგობა «მ-სთან», რომლითაც შპს «ს-ს» აიღო ვალდებულება – უწყვეტი დაფინანსების პირობებში, ამხანაგობა «მ-ის» დაუმთავრებელი შენობა უზრუნველყო პროექტითა და მშენებლობით, მოეზიდა ამხანაგობის სხვა წევრებიც, დაეკირავებინა სამშენებლო ორგანიზაცია, ზედამხედველობა გაეწია მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის პროცესისათვის, ხოლო ამხანაგობის წევრების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შემდეგ შეეძლო საკუთრებაში დაეტოვებინა და განეკარგა დარჩენილი ფართი.

2001-2005 წლებში ზ. ს-მ შპს «ს-ს» სახელით ამხანაგობა «მ-ის» წევრებთან გააფორმა ე.წ. «ინდივიდუალური» (საგარანტიო) ხელშეკრულებები, ქ.თბილისში მდებარე ამხანაგობა «მ-ს» შენობაში საცხოვრებელი ფართის სამომავლო უფლებით გადაცემის თაობაზე, რომლითაც განისაზღვრა მშენებლობის კონკრეტული პირობები (ფასი, ხარისხი, ფართობი და სხვა).

2001 წლიდან 2005 წლის 12 აპრილის ჩათვლით, ზ. ს-მ, ზემოთ აღნიშნული ე.წ. «ჩარჩო» და «ინდივიდუალური» ხელშეკრულებების საფუძველზე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ამხანაგობა «მ-ს» გამგეობის თავმჯდომარის – თ. შ-საგან (ამ უკანასკნელმა ეს თანხა ამხანაგობის წევრებისგან მიიღო) ხელზე მიიღო თანხა, საერთო ჯამში – 836 643 ლარი, რაზეც შპს «ს-ს» სახელით გამოწერა სალაროს შემოსავლის ორდერები. იმავე პერიოდში მან ამჯერად ე.წ. «ინდივიდუალური» (საგარანტიო) ხელშეკრულების მხარე ფიზიკური პირებისაგან ხელზე მიიღო თანხა, საერთო ჯამში – 2 785 273,20 ლარი, რაზეც შპს «ს-ს» სახელით სალაროს შემოსავლის ორდერები გამოწერა. ამრიგად, ზ. ს-მ, საერთო ჯამში, როგორც შპს «ს-ს» დირექტორმა, ზემოხსენებული სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის მითითებულ პერიოდში ე.წ. «ინდივიდუალური» (საგარანტიო) ხელშეკრულების მხარე 80 ფიზიკური პირისაგან მიიღო თანხა – 3 621 916,20 ლარი, რაც მის მართლზომიერ გამგებლობაში მოექცა. გარდა ამისა, მან შპს «ი-სგან» მიიღო 61 084 ლარის ღირებულების 100 ტონა არმატურა, რის სანაცვლოდაც გარკვეული ოდენობის საცხოვრებელი ფართი უნდა ჩაებარებინა. ზ. ს-ე ვალდებული იყო, მიღებული თანხის ღირებულების სამუშაოები შეესრულებინა, რის შემდეგაც, დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, გაგრძელებოდა მოქალაქეთა მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დანარჩენი თანხების შემოტანა.

ზ.ს-მ 2001 წლის 12 დეკემბერს შპს «ს-ს» სახელით შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო ფირმა ს/ს «თ-ს მ-თან», რომელმაც 2002 წლის თებერვლიდან 2004 წლის ივნისამდე პერიოდში ამხანაგობა «მ-ს» მშენებლობაზე 708 684 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები შეასრულა, რაც ზ. ს-მ შპს «ს-ს» სახელით მიღებული, ზემოხსენებული თანხებიდან მხოლოდ 637 639.60 ლარით, ხოლო ამხანაგობა «მ-მა» – 70 956.00 ლარით დააფინანსა. სამშენებლო ფირმა ს/ს «თ-ს მ-მა» ამ ღირებულების სამუშაოები პირნათლად შეასრულა, ხოლო 2004 წლის 1 ივნისიდან, ზ. ს-ის მხრიდან დაფინანსების გაუარესების გამო, შეწყვიტა სამშენებლო სამუშაოები და მშენებლობა შპს «ს-ს» გადააბარა. ამის შემდეგ ზ.ს-მ მშენებლობა საკუთარი ძალებით გააგრძელა და 2004 წლის ივნისიდან 2005 წლის ივნისამდე 344 627,40 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები შპს «ს-ს» სახელით დამოუკიდებლად შეასრულა, რის შემდეგაც, იმის გამო, რომ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული 80 მოქალაქის მიერ შემოტანილი დანარჩენი თანხა – 2 639 644,20 (3

621 916,20 – 637 639,60 – 344 627,40) ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა და გამოიყენა პირადი მიზნებისათვის, 2005 წლის მაისიდან ვერ შეძლო სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება, ხოლო ზემოხსენებული თანხის მითვისების შემდეგ 4 300 ლარის ღირებულების გაუხარჯავი სამშენებლო მასალა ობიექტზე მიატოვა, რის შემდეგაც თავს არიდებდა სამშენებლო ობიექტზე გამოჩენას და ამხანაგობის წევრებთან ურთიერთობას.

ამხანაგობა «მ-ს» წევრები დარწმუნდნენ, რომ ზ.ს-მ უკანონოდ მიითვისა მათი თანხები, რის გამოც 2005 წლის ივნისიდან ემალებოდა მათ. 2005 წლის 29 სექტემბერს მათ მიიწვიეს ახალი სამშენებლო ფირმა, შპს «ბ. 2-4», რომელმაც ხსენებულ შენობაზე 1 022 357,50 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა. ზ.ს-მ 2006 წლის 31 მაისს შპს «ბ. 2-4-ის» დირექტორ თ. ს-ს გადასცა მხოლოდ 9 000 ლარი, იმავე წლის ზაფხულის პერიოდში სამშენებლო ობიექტზე შეიტანა დაახლოებით 10 800 ლარის ღირებულების 11 000 ცალი სამშენებლო ბლოკი და 100 კვ.მ მეტლახი, ხოლო ამხანაგობა «მ-მა» მშენებლობა დამატებით 726 940 ლარით დააფინანსა, ვინაიდან ზ. ს-ე კვლავ ემალებოდა მათ და მისგან თანხების დაბრუნება ვერ ხერხდებოდა. ზ.ს-ს დღემდე არ დაუბრუნებია დაზარალებულებისათვის მათგან სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად და საცხოვრებელი ფართების ჩასაბარებლად მისთვის გადაცემული დიდი ოდენობით თანხა, რომელიც თავის მართლზომიერ გამგებლობაში იყო და რაც მიითვისა მართლსაწინააღმდეგოდ, მეტიც: ე.წ. «ინდივიდუალური» ხელშეკრულებების მხარე ფიზიკურ პირებს შესრულებული აქვთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, საკუთარი ფინანსური ვალდებულებები, მაგრამ ზ. ს-ს მიერ მითვისებული 2 639 644,20 ლარის გამო სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია და ამხანაგობა «მ-ის» შენობის ექსპლუატაციაში შესვლა ვერ ხერხდება, რის გამოც დაზარალებულებს, გარდა ფინანსური ზარალისა, მიადგათ მორალური და მატერიალური ზარალი, კერძოდ კი – მათ თანხების ფაქტობრივად დაკარგვასთან ერთად დღემდე არ გააჩნიათ შესაძლებლობა, მიიღონ შეპირებული საცხოვრებელი ფართები, რადგან ისინი მინიმალურ საცხოვრებელ კონდიციამდეც კი არ არის აშენებული. ზ. ს-მ ზემოხსენებულ გარემოებებში მართლსაწინააღმდეგოდ არაერთგზის მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული, ე.წ. «ინდივიდუალური» (საგარანტიო) ხელშეკრულების მხარე ფიზიკური პირების დიდი ოდენობით ფულადი თანხები, კერძოდ: მ. რ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 40 705 ლარი; დ. ს-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 33 777,40 ლარი; ნ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 15 580 ლარი; ი. ფ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 41 575 ლარი; დ. ს-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 11 930 ლარი; რ. ს-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 74 844 ლარი; მ. უ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 30 055 ლარი; ქ. უ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 34 212,50 ლარი; ნ. ქ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 16 148 ლარი; მ. შ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 46 617,50 ლარი; თ. შ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 74 368,80 ლარი; ი. შ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 103 440 ლარი; ზ. ჩ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 31 206 ლარი; თ. ჩ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 61 448 ლარი; გ. ჩ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 64 333,50 ლარი; გ. ჩ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 21 450 ლარი; მ. კ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 56 760 ლარი; დ. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 31 786 ლარი; ა. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 105 865 ლარი; მ. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 105 410 ლარი; მ. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 36 201 ლარი; ი. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 32 250 ლარი; ნ. ჭ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 15 738,20 ლარი; დ. ჭ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 45 711,50 ლარი; ი. ხ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 20 088 ლარი; გ. ჯ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 35 498,40 ლარი; თ. წ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 80 023 ლარი; თ. ჭ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 121 187 ლარი; მ. მ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 44 400 ლარი; ც. ს-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 30 000 ლარი; ი. გ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 128 258 ლარი; გ. ფ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 37 632,60 ლარი; ლ. გ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 52 232,90 ლარი; რ. უ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 146 875 ლარი; ე. შ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 28 709 ლარი; ლ. ქ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 15 545,80 ლარი; თ. დ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 123 190 ლარი; ვ. ხ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 29 713 ლარი; ი. დ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 37 167 ლარი; ლ. ა-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 95 550 ლარი; მ. ა-ის კუთვნილი თანხა – 9 650 ლარი; ი. ა-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 10 334 ლარი; გ. ა-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 28 138 ლარი; კ. ა-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 35 528 ლარი; ა. ბ-ის კუთვნილი თანხა – 4 732 ლარი; რ. ნ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 71 565 ლარი; ზ. ბ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 91 661 ლარი; მ. ბ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 43 565 ლარი; გ. გ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 23 880 ლარი; გ. გ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 20 660 ლარი; ნ. გ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 14 545,60 ლარი; თ. დ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 31 468 ლარი; ნ. ვ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 25 068 ლარი; გ. ზ-ის კუთვნილი თანხა – 5 061 ლარი; მ. ზ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 25 317 ლარი; ა. კ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 22 000 ლარი; ზ. თ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 34 549 ლარი; გ. ბ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 32 960 ლარი; თ. ი-ის კუთვნილი თანხა – 6 433 ლარი; ა. კ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 12 891 ლარი; თ. კ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 38 113 ლარი; მ. ლ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 28 953 ლარი; მ.

ლ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 43 870 ლარი; გ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 34 403 ლარი; კ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 79 416 ლარი; გ. მ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 27 852 ლარი; დ. მ-ის კუთვნილი თანხა – 4 900 ლარი; თ. მ-ის კუთვნილი თანხა – 5 110 ლარი; ც. მ-ის კუთვნილი თანხა – 5 046 ლარი; ნ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 18 552 ლარი; ს. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 39 187 ლარი; ლ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 72 716 ლარი; გ. ო-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 13 176 ლარი; მ. მ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 110 954 ლარი; მ. ნ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 19 506 ლარი; მ. ო-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 109 665 ლარი; მ. დ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 90 859 ლარი; ნ. ფ-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 61 454 ლარი; თ. ა-ის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 72 052 ლარი; თ. დ-ს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 38 644,50 ლარი;

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ფ-მა და დაზარალებულებმა – კ. მ-მა, ა. კ-მ და ლ. მ-მა. დაცვის მხარემ ითხოვა ზ. ს-ისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირება, ხოლო დაზარალებულებმა – მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმება და სამოქალაქო სარჩელების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: დაკმაყოფილდა დაზარალებულების სამოქალაქო სარჩელები და მსჯავრდებულ ზ. ს-ს დაეკისრა: კ. მ-ის სასარგებლოდ – 79 416 ლარის, ა. კ-ის სასარგებლოდ – 12 891 ლარის, ხოლო ლ. მ-ის სასარგებლოდ – 72 716 ლარის გადახდა. ამასთან, დაზუსტდა მსჯავრდებულ ზ. ს-ის მიმართ დამატებით სასჯელად დანიშნული – 3 წლით საქმიანობისა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა და მას 3 წლის ვადით ჩამოერთვა სამეწარმეო საქმიანობისა და თანამდებობის დაკავების უფლება. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ზ. ს-მ და დაზარალებულმა კ. მ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ჰყავს ოჯახი, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, აქვს შეუბღალავი წარსული, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და, შესაბამისად, ითხოვს მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

დაზარალებული კ. მ-ი კი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ზ. ს-ისთვის სასჯელის დამძიმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ექვს არ იწვევდა.

ზ. ს-ის მიერ ჩადენილი დანაშაული დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, ზ. ს-ის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულთა ჩვენებით, ექსპერტიზის დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

რაც შეეხება მსჯავრდებულისთვის დანიშნულ სასჯელს, პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 566-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, დაამძიმოს მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელი; ამასთან, არ არსებობს ამ მოტივით განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს, სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და მის მიმართ დანიშნული სასჯელი სამართლიანია, შესაბამისად, არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

ამასთან, არასწორად განისაზღვრა სამოქალაქო სარჩელების საგნის ოდენობა, კერძოდ: საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულებს სამოქალაქო სარჩელები არ წარუდგენიათ. მათი გაცხადება მოხდა ზეპირი ფორმით, რაც დაზარალებულთა დაკითხვისა და დამატებითი დაკითხვის ოქმებში დაფიქსირდა. აღნიშნული ოქმიდან ირკვევა შემდეგი: დაზარალებული კ. მ-ი თვლის, რომ მიადგა 57 634 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; დაზარალებული ა. კ-ე თვლის, რომ მიადგა 9365 ლარის, ხოლო დაზარალებულ ლ. მ-ს მიაჩნია, რომ მიადგა 52 797 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი და, შესაბამისად, სწორედ ამ თანხების ანაზღაურებას ითხოვენ. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ განაჩენით მათ სასარგებლოდ მსჯავრდებულს დააკისრა მეტი თანხის გადახდა, რაც შეუსაბამოა კანონის მოთხოვნებთან, კერძოდ: სსკ-ის 30-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით წარმოქმნილი ურთიერთო-

ბები მოწესრიგებული არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი იმპერატიულად უთითებს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა; შესაბამისად, მსჯავრდებულისთვის დაკისრებული თანხები უნდა შემცირდეს დაზარალებულების მოთხოვნის ფარგლებში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, როგორც კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 567-ე-568-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ს-ისა და დაზარალებულ კ. მ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს, კერძოდ:

მსჯავრდებულ ზ. ს-ს დაზარალებულ კ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს – 57 634 ლარის, დაზარალებულ ა. კ-ის სასარგებლოდ – 9365 ლარის, ხოლო დაზარალებულ ლ. მ-ის სასარგებლოდ – 52 797 ლარის გადახდა.

განაჩენი სხვა ნაწილში – მათ შორის ზ. ს-ისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში – დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეში

განჩინება

156-აპ-11

14 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ა. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. ასევე გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით – დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს და საბოლოოდ ა. მ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. დაკმაყოფილდა დაზარალებულ მ. კ-ის სამოქალაქო სარჩელი და ა. მ-ს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება – 150 ევროსა და 292 ლარის ოდენობით. ამასთან, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით დაზუსტდა განაჩენში დაშვებული უზუსტობა, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ნაცვლად მიეთითა – „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

განაჩენით ა. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით;

მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2008 წლის ივლისის დასაწყისში (ზუსტი რიცხვი დაუდგენელია) ა. მ-მა ფარულად შეაღწია ქ. ბოლნისში მცხოვრებ მ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა მ. ბ-ის ოჯახის კუთვნილ ნივთებს, კერძოდ: ჩაის 7 თეთრ ფინჯანს, ერთ ჩაიდანს და საშაქრეს, მუსიკალურ ცენტრს „FIშ AUშთდIA“, ქალის შა-

ვი ტყავის ლაბადას, კედლის ორ სურათს, ბელგიური წარმოების რადიომიმღებს, წვეწაწურს, ყავის ასადულ-
ლებელს, ექვს ჭიქას. მან ასევე დანაშაულის სისრულეში მოყვანის გაადვილების მიზნით დააზიანა მ. ბ-ის
საცხოვრებელი სახლის ერთი კარი საკეტი და ორი კარის საკეტი, რითაც დაზარალებულს მიაყენა **395** ევ-
როს, **250** აშშ დოლარის და **300** ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. პ-
მა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს **2008** წლის **3** სექტემბრის განაჩენის
გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის **2010** წლის **22** ნოემბრის
განაჩენით შეიცვალა ბოლნისის რაიონული სასამართლოს **2008** წლის **3** სექტემბრის განაჩენი, კერძოდ: ა. მ-ს
მსჯავრდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის **177**-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, ასევე «ამნის-
ტიის შესახებ» **2008** წლის **21** ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად, ა. მ-ი გათავისუფლდა სსკ-ის **187**-ე
მუხლის 1 ნაწილით დანიშნული სასჯელის – **2** წლით თავისუფლების აღკვეთისაგან. საბოლოოდ მას სასჯე-
ლის ზომად განესაზღვრა **7** წლითა და **6** თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სა-
ხით ჯარიმა – **4000** ლარის ოდენობით. ა. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან –
2010 წლის **7** ივლისიდან, მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა წინა დანაშაულისათვის პატიმრობაში
ყოფნის პერიოდი – **2006** წლის **27** დეკემბრიდან **2007** წლის **2** თებერვლის ჩათვლით. ბოლნისის რაიონული
სასამართლოს **2008** წლის **3** სექტემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. მ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა თბილი-
სის სააპელაციო სასამართლოს **2010** წლის **22** ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას, ან საქმის
დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ახალი სასამართლო განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსკ-ის **567**-ე მუხლის **1**-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე
სრული მოცულობით, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე,
რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა
გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკ-
ვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენი-
ლად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ექვს არ იწვევდა.

მსჯავრდებულ ა. მ-ის მიერ ქურდობის (ბინაში უკანონო შეღწევით) და სხვისი ნივთის დაზიანების ჩა-
დენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების
ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერე-
ბის, ნივთების დათვალიერების, ამოღებისა და ამოცნობის ოქმებით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცე-
ბულებების ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. მ-ს საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა
დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, ჯერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარ-
დგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ
ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის **36**-ე მუხლის **1**-ელი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მო-
პასუხედ ცნობს ბრალდებულს. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, დაზარალებული მ. კ-ი ცნობილ იქნა სა-
მოქალაქო მოსარჩელედ, მაგრამ მსჯავრდებული ა. მ-ი სამოქალაქო მოპასუხედ საქმეზე ცნობილი არ ყოფი-
ლა და, შესაბამისად, არც მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გან-
მარტებია. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკის-
რეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალ-
წარმოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი ა. მ-ისათვის
დაზარალებულ მ. კ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება ფაქტობრივად არ დაწყებულა, პალატა მოკლე-
ბულია შესაძლებლობას, სსკ-ის **561**-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნა-
წილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის **33**-ე
მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარად-
გინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს ა. მ-ისათვის დაზარალებულ მ. კ-ის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მოსარჩელის უარი სამოქალაქო სარჩელზე

განჩინება

1165-აპ-11

29 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხობის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ვ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 8 ივნისს ხობში, გამსახურდიას ქ. 1...-ში მცხოვრები ვ. გ-ი მივიდა მეზობლად მცხოვრებ გ. ე-ასთან და შესთავაზა, ხობის რ-ნის სოფ. ..., პირუტყვის სადგომი ბოსლიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ ხბოებს, რის სანაცვლოდაც გ. ე-ას დაჰპირდა, რომ აჩუქებდა ფეხსაცმელს.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2010 წლის 9 ივნისს, ღამის საათებში, ვ. გ-მა და გ. ე-ამ ცხენი შეაბეს ოთხთვალაში და კოლხეთის ყოფილი მეურნეობის ტერიტორიიდან წავიდნენ სოფ. ... მიმართულებით, შევიდნენ სოფლის საყანე ფართობში, ცხენი და ოთხთვალა გააჩერეს ღობესთან და ფეხით გააგრძელეს გზა. ვ. გ-მა გ. ე-ა დააყენა რ. ხ-ას საკარმიდამო მიწის ნაკვეთში მდებარე პირუტყვის სადგომი ბოსლიდან 50 მეტრის მოშორებით, ხოლო თვითონ უკანონოდ შეაღწია ბოსელში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა თითო სულ დეკეულსა და მოხვევს, ღირებულს 200 ლარად. მოპარული საქონელი მათ გაკოჭეს და მოათავსეს ოთხთვალაზე.

იმავე ღამეს ვ. გ-ი შევიდა რ. ხ-ას საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე, ც. წ-ას საკარმიდამო ნაკვეთში, უკანონოდ შეაღწია პირუტყვის სადგომ ბოსელში და ფარულად დაეუფლა 100 ლარად ღირებულ მოხვევს, რომელიც ასევე გ. ე-ას დახმარებით გაკოჭა და სხვა ხბოებთან ერთად მოათავსა ოთხთვალაზე.

ვ. გ-ი და გ. ე-ა იმავე ღამეს მივიდნენ სოფელ გურიფელში ა. ს-ასა და ც. ა-ას საკარმიდამო მიწის ნაკვეთებში. ვ. გ-მა უკანონოდ შეაღწია ბოსლებში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 200 ლარად და 100 ლარად ღირებულ ორ სულ დეკეულს, რომლებიც ბოროტმოქმედებმა ასევე გაკოჭეს, მოათავსეს ოთხთვალაზე და წამოიყვანეს ვ. გ-ის სახლში.

ვ. გ-მა და გ. ე-ამ ფარულად დაუფლებული პირუტყვი იმავე ღამეს ვ. გ-ის კუთვნილი „ფორდის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანით წაიყვანეს ქუთაისში და მიჰყიდეს დაუდგენელ პირს.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. გ-ს მიესაჯა 4 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 16 ივნისიდან; მასვე დაზარალებულების – რ. ხ-ას, ა. ს-ასა და ც. წ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 200-200 ლარის, ხოლო ც. ა-ას სასარგებლოდ – 100 ლარის გადახდა.

განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა, ითხოვეს ვ. გ-ის გამართლება, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული ვ. გ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია; საქმეზე წინასწარი გამოძიება არასრულფასოვნადაა ჩატარებული; განაჩენი ემყარება ერთდერთ მტკიცებულებას

– მხედველობადაქვეითებული არასრულწლოვან გ. ე-ას ჩვენებას; შემთხვევის ადგილიდან არ არის აღებული თითის ანაბეჭდები; ორი სატრანსპორტო საშუალებიდან, რომლებიც საქმეში ფიგურირებს, არც ერთს არ ჩატარებია ექსპერტიზა; თავად ვ. გ-ი თანამშრომლობდა ძიებასთან, რადგან უდანაშაულოა; მას ძიებისათვის ხელის შეშლა და მიმალვა არც უფიქრია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ვ. გ-ი ითხოვს საქმის სამართლიანად განხილვასა და ჭეშმარიტების დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის მოწმეების – გ. ე-ას, ი. ლ-ას, გ. ფ-ას, ა. მ-ის და სხვათა ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია და ექვს არ იწვევს, რომ ვ. გ-მა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, გასაჩივრებული განაჩენი არ ეყრდნობა მხოლოდ ერთი პირის ჩვენებას. გ. ე-ას ჩვენების ობიექტურობაზე მეტყველებს არაერთი პოლიციელის განმარტებაც. მსჯავრდებული უარყოფს, მაგრამ ი. ლ-ა, გ. ფ-ა და ა. მ-ი მიუთითებენ, რომ ქურდობის ღამეს, დაახლოებით 2 საათზე გ. ე-ა და ვ. გ-ი ნახეს ამ უკანასკნელის სახლის ეზოში. აღნიშნული პირები ავტომატურად გაემგზავრნენ ხობის მიმართულებით. პოლიციელებს საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ და მანქანა არ შეუმოწმებიათ. ამასთან, გ. ე-ას ჩვენებები დეტალური და თანმიმდევრულია, იგი მოპარული საქონლის ინდივიდუალურ ნიშნებსაც კი აღწერს, რაც ემთხვევა დაზარალებულების მიერ გადმოცემულ ნიშნებს.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოში დაკითხულმა დაზარალებულმა ა. ს-ამ განაცხადა, რომ აღარ ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ სსსკ-ის მე-14 მუხლის მე-7 და მე-40 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, სარჩელზე უარს მოსდევს პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის გამო წარმოების შეწყვეტა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსარჩელეს უფლება ერთმევა, განმეორებით წარუდგინოს სარჩელი იმავე პირს და იმავე საფუძვლით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერია, ხოლო მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი – სამართლიანი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განაჩენი ვ. გ-ის მიმართ შეიცვალოს: დაზარალებულ ა. ს-ას სამოქალაქო სარჩელის გამო შეწყდეს წარმოება სარჩელზე უარის გამო.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. გირაო

განჩინება

1705-აპ-10

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის განაჩენით ო. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დაწინაურებული სასჯელები შეიკრიბა და ო. მ-ს საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა ო. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ზ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – 10 000 ლარის წილი, მდებარე გორის რ-ის სოფ. ..., გადაეცა სახელმწიფოს.

განაჩენით ო. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ო. მ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ერთლულიანი, გადაჭრილი სანადირო თოფი და 3 საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა თავისი კუთვნილი ავტომანქანით. 2008 წლის 15 დეკემბერს, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, გორის რაიონის სოფელ მ-ში გაჩხრეკილ იქნა ო. მ-ის კუთვნილი ავტომანქანა, საიდანაც ამოღებულ იქნა ო. მ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული, სროლისათვის ვარგისი, გადაჭრილი, ერთლულიანი სანადირო თოფი ¹A23744 და სამი გამოსაყენებლად ვარგისი ვაზნა, რომელთაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ო. მ-მა, რომელმაც ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, ო. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 10 მარტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2008 წლის 15 დეკემბრიდან 2008 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. გ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; ო. მ-ისთვის ბრალად შეარცხული ქმედებები არ დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას მისი უდანაშაულობის შესახებ, რადგან გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქმეში არსებულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, მათ შორის მოწმეების – ვ. ც-ისა და ი. მ-ის ჩვენებებს, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმს, ბალისტიკური ექსპერტიზის ¹195/ზ დასკვნასა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელთა შესახებ ამომწურავად იმსჯელა სასამართლომ და ო. მ-ის მიმართ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ო. მ-ის ბრალდების საქმეზე სააპელაციო სასამართლომ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული, ზ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – 10 000 ლარის წილის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას დაარღვია საქართველოს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: «გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობით, ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში».

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი (ან სხვა დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის – ზ. მ-ის გაფრთხილებას სსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ, კერძოდ, გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ ბრალდებულ ო. მ-ის მიერ არასაპატიო მიზეზით სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში სახელმწიფოს გადაეცემა გირაოს სახით შეტანილი, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – 10 000 ლარის ოდენობის წილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. მ-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს, მდებარეს გორის რაიონის სოფელ მ-ში, უნდა მოეხსნას ყადაღა და გასაჩივრებული

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დაყადაღებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

საპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი და სამართლიანია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ო. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 მაისის განაჩენიდან ო. მ-ის მიმართ ამოირიცხოს მითითება დაყადაღებული, ზ. მ-ის კუთვნილი უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ და გორის რაიონის სოფელ მ-ში მდებარე, ზ. მ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს მოეხსნას ყადაღა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაო

განჩინება

11079-აპ-10

8 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე)

ზ. მეიშვილი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. პ-ს, მსჯავრდებულ გ. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-სა და მსჯავრდებულ ლ. ჟ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ივლისის განაჩენით:

მ. ჟ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით (2009 წლის 2 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2008 წლის 14 ოქტომბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2, მე-3 მუხლების თანახმად გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ასევე გაუნახევრდა „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ელი, მე-3 მუხლების თანახმად და განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატა 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 თვე, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2009 წლის 2 ნოემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 წელი და 9 თვე, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით (2008 წლის 14 ოქტომბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 1 წელი და 6 თვე, 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 3 თვე და მ. ჟ-ს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 2 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2008 წლის 14 ოქტომბრიდან 2008 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

სისხლის სამართლის ¹⁰⁰⁸⁰⁸⁵⁴³³ საქმეზე რ. გ.-ს მიერ მ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს შეტანილი თანხა – 8000 ლარი, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, უნდა გადაირიცხო სახელმწიფო ბიუჯეტში.

მასვე “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ლ. ჟ.-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მესამე ნაწილით დანიშნულ სასჯელს – 6 წელს დაემატა 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელის ნაწილი – 6 თვე და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ლ. ჟ.-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2009 წლის 9 სექტემბრიდან 2009 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, ლ. ჟ.-ს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარი.

სისხლის სამართლის ¹⁰⁰⁷⁰⁹⁰⁸²⁰ საქმეზე ი. კ.-ს მიერ ლ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული გირაოს შეტანილი თანხა – 5000 ლარი, საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, უნდა გადაირიცხო სახელმწიფო ბიუჯეტში.

გ. ჟ.-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუქმდა მსჯავრდებულ გ. ჟ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა – 3000 ლარი უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს.

საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი: „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის სარეგისტრაციო ნომერია «...», 1 მჭიდითა და 4 ვაზნით, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი, 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრიანი „სტეკკინის“ კონსტრუქციის, ... პისტოლეტი და 10 ვაზნა, 1 შავი ფერის მჭიდი წარწერით «...», 1 შავი ფერის კუსტარული მჭიდი წარწერით «...», 1 ოქროსფერი ვაზნა წარწერით «...», 1 პატარა ზომის ოქროსფერი ვაზნა წარწერით «...», იარაღის საწმენდი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი 1 შავი მჭიდი, 20 ავტომატის ვაზნა, რომელთა კორპუსებზე იკითხება წარწერა «...», 1 წითელი ვაზნა წარწერით „...“ – გადაეცა საქართველოს შს სამინისტროს შეიარაღების სამსახურს; შავი «ვინჩესტერის» სისტემის სანადირო თოფი წარწერით „...“ და 12 – კალიბრიანი 6 ვაზნა უნდა დაუბრუნდეს რ. გ.-ს; შავი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, იმეი კოდით ..., რომელშიც მოთავსებული იყო შპს „ბილაინის“¹ ქსელში ჩართული სიმბარათი წარწერით ... უნდა დაუბრუნდეს მ. მ.-ს; ოთხი ჩD დისკი – შენახულ იქნა სისხლის სამართლის შენახვის ვადით.

განაჩენით მსჯავრდებულების – მ. ჟ.-ს, ლ. ჟ.-სა და გ. ჟ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოხატა შემდეგში:

2008 წლის 14 ოქტომბერს, დაახლოებით 11.30 საათზე, მ. ჟ.-ა იმყოფებოდა თბილისში, ... ქუჩაზე და ვინაიდან იგი იწვევდა ეჭვს, რომ შეიძლება ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, მასთან მივიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომელთა მიახლოებისას მ. ჟ.-მ სცადა მიმალვა, შევიდა ... ქუჩის 1... სადარბაზოში და კიბის ქვეშ დააგდო პისტოლეტი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩათ საპატრულო პოლიციელებს, რის შემდეგაც იგი ადგილზე დააკავეს ეჭვმიტანილის სახით, ხოლო ზემოაღნიშნული პისტოლეტი ¹..., 1 მჭიდითა და 21 საბრძოლო ვაზნით, კრიმინალისტიკის მონაწილეობით ამოიღეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს. მითითებული იარაღი შეიფუთა და დაილუქა შესაბამისი წესით.

ბალისტიკური ექსპერტიზის ^{1776/ზ} დასკვნით, წარმოდგენილი იარაღი არის ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრიანი „სტეკკინის“ კონსტრუქციის, 1954 წელს გამოშვებული ... პისტოლეტი, მიეკუთვნება ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; 21 ცალი ვაზნა არის ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის, 9 მმ კალიბრის, განკუთვნილია „მაკაროვის“ კონსტრუქციის პისტოლეტებისათვის (...), „სტეკკინის“ კონსტრუქციის ავტომატური პისტოლეტებისათვის (...), აგრეთვე შემდეგი პისტოლეტებისათვის: ..., ..., ... და სხვა, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოსაყენებლად.

2008 წლის 30 სექტემბერს მ. ჟ.-ა მარნეულის რაიონულმა სასამართლომ დააჯარიმა 500 ლარით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის.

მ. ჟ.-ა 2008 წლის 14 ოქტომბერს, დაკავების შემდეგ, გადაყვანილ იქნა საქართველოს შს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ¹³⁴¹⁶²³⁰ დასკვნით ლაბორა-

ტორიულად დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების, „ბუპრენორფინის“, „ამფეტამინის“ და „მეტამფეტამინის“ მიღების ფაქტი.

2009 წლის ოქტომბრის ბოლოს მ. ჟ-ა იმყოფებოდა მეგობრის, ი. ვ-ს დედის პანაშვიდზე. რადგან მას აწუხებდა ფეხების ტკივილი, შევიდა ერთ-ერთ ოთახში, ჩამოჯდა საწოლზე და ფეხებიც იმავე საწოლზე შემოაწყო. ეს დაინახა პანაშვიდზე მყოფმა ი. ვ-ს მეგობარმა გ. ტ-მ, რომელმაც ამის გამო მ. ჟ-ს უსაყვედურა და მიმართა უცენზურო სიტყვებით, რაც გახდა მათ შორის ჩხუბის დაწყების საფუძველი, მაგრამ პანაშვიდზე მყოფმა სხვა მეგობრებმა შეძლეს მათი გაშვებება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მ. ჟ-სა და გ. ტ-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მათ შორის რამდენჯერმე მოხდა შელაპარაკება როგორც სატელეფონო საუბრისას, ასევე, პირადი შეხვედრისასაც. 2009 წლის 2 ნოემბერს მ. ჟ-მ სატელეფონო საუბრისას შეატყობინა გ. ტ-ს, რომ საქმის გასარჩევად სურდა მასთან შეხვედრა თბილისში, ... ქუჩის 1...-ის ეზოში. დაახლოებით 18 საათზე მ. ჟ-ა გაემართა დათქმულ ადგილას, თან წაიღო გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც ასევე უკანონოდ ატარებდა. იგი 10 წუთში მივიდა დათქმულ ადგილას, სადაც დახვდა გ. ტ-ე, რომელსაც ახლდა ლ. ჟ-ა. მ. ჟ-ა და გ. ტ-ე კვლავ შელაპარაკდნენ. განაწყენებულმა მ. ჟ-მ განიზრახა გ. ტ-ს მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით საქმრიდან ამოიღო თანაქონი „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და გ. ტ-ს განზრახ მოკვლის მიზნით, შურისძიების მოტივით, ესროლა რამდენჯერმე, რითაც მას მიაყენა მუცლის მიდამოს გამჭოლი ცეცხლსასროლი ნატყვიარი ჭრილობა, ასევე – მარჯვენა ქვედა კიდურის ცეცხლსასროლი ნატყვიარი გამჭოლი ჭრილობა, შემავალი ხერხელოთ ტერფის არეში.

მუცლის არეში მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს, რის შედეგადაც გ. ტ-ე საავადმყოფოში მოყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო მ. ჟ-ა კი განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მ. ჟ-ს მიერ გ. ტრაპაიძის დაჭრის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან ასევე მიიმალა ლ. ჟ-ა, რომელიც შეესწრო ყოველივე ზემოაღნიშნულს. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ჟ-მ იცოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტის შესახებ, შეგნებულად არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში და არც არაფერი მოიმოქმედა ამ დანაშაულის ჩამდენი პირის მხილების მიზნით, რითაც ხელი შეუშალა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

2009 წლის 20 მარტს, დაახლოებით 10 საათზე, ლ. ჟ-ა მივიდა თბილისში, ... გამზირის 1...-ში განთავსებულ სლოტ-კლუბ „...“, შენიშნა სათამაშო აპარატთან მჯდომი ზ. ხ-ი, რომელიც სალაპარაკოდ გარეთ გამოიხმო და მოსთხოვა მყუდრო ადგილას გაყოლა. ზ. ხ-მ მიატოვა იგი ქუჩაში, შებრუნდა სლოტ-კლუბში და გააგრძელა თამაში. 3-4 წუთში სლოტ-კლუბში შევარდა ლ. ჟ-ა, რომელსაც ხელში მომარჯვებული ჰქონდა რკინის ნაჭერი, მას ახლდა ძმა – გ. ჟ-ა. სლოტ-კლუბში შესვლისთანავე ლ. ჟ-მ ხელთ არსებული რკინის ნაჭრით ცემა დაუწყო ზ. ხ-ს და მის მეგობარ ნ. ა-ს, რომელიც გამოესარჩლა მეგობარს. ჩხუბში თავიდანვე ჩაერთო ლ. ჟ-ს ძმა – გ. ჟ-ა, რომელიც ასევე გინებითა და უცენზურო სიტყვების ყვირილით სცემდა ზ. ხ-ს და მის მეგობარ ნ. ა-ს. ლ. და გ. ჟ-მ გინებით, უცენზურო სიტყვების ყვირილითა და ჩადენილი ძალადობით გამოხატეს სლოტ-კლუბში მყოფი საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობა, რაც გაგრძელდა ქუჩაში – სლოტ-კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე, რის შემდეგაც ლ. და გ. ჟ-ები გაქცევით გაეცალნენ შემთხვევის ადგილს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ჟ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. პ-მ, რომლებმაც ითხოვეს მსჯავრდებულის ქმედების სსკ-ის 108-ე მუხლიდან სსკ-ის 113-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება და სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა, ხოლო სხვა დანაშაულებისათვის – სასჯელად ჯარიმის შეფარდება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – გ. და ლ. ჟ-ებმა და ითხოვეს გამართლება.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ჟ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით (2009 წლის 2 ნოემბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით (2008 წლის 14 ოქტომბრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრისა და 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, მოსახდელად განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს – 11 წლით თავისუფლების აღკვეთას დაემატა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 თვე, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2009 წლის 2 ნოემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 წელი და 9 თვე, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2008 წლის 14 ოქტომბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელის ნაწილი – 1 წელი და 6 თვე და სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 3 თვე და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. ჟ-ს სასჯე-

ლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 2 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2008 წლის 14 ოქტომბრიდან 2008 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

სისხლის სამართლის ¹... საქმეზე რ. გ.-ს მიერ მ. ჟ.-ს გირაოდ შეტანილი თანხა ... ლარის ოდენობით, სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მასვე «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ლ. ჟ.-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნულ სასჯელს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთას დამატა სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელის ნაწილი – 6 თვე და საბოლოოდ მას დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით. ლ. ჟ.-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 13 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2009 წლის 9 სექტემბრიდან 2009 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით.

სისხლის სამართლის ¹... საქმეზე ი. კ.-ს მიერ ლ. ჟ.-ს გირაოდ შეტანილი თანხა – 5000 ლარის ოდენობით, სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

გ. ჟ.-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 14 ივლისიდან.

გ. ჟ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოდ შეტანილი თანხა – 3000 ლარის ოდენობით უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის შემდეგ.

მსჯავრდებულ მ. ჟ.-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. პ.-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 113-ე მუხლზე და ამავე მუხლით მინიმალური სასჯელის შეფარდებას, ხოლო 236-ე მუხლის 1-ელი, მე-2 ნაწილებით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში არასაპატიმრო სასჯელის – ჯარიმის შეფარდება.

მსჯავრდებულ გ. ჟ.-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ.-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტასა და გამართლებას.

მსჯავრდებულ ლ. ჟ.-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ.-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ მიხეილ ჟვანიას ადვოკატის – გ. პ.-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 113-ე მუხლზე და ამავე მუხლით მინიმალური სასჯელის შეფარდებას, ხოლო 236-ე მუხლის 1-ელი, მე-2 ნაწილებით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში არასაპატიმრო სასჯელის – ჯარიმის შეფარდებას. ასევე არ იზიარებს მსჯავრდებულების – გ. და ლ. ჟ.-ს ადვოკატის – გ. ნ.-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნას უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმების, სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტისა და მსჯავრდებულების გამართლების თაობაზე, უსაფუძვლოების გამო.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და ამდენად, ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ მ. ჟ.-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მოთხოვნას მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, იმ საფუძველით, რომ, თითქოსდა, მ. ჟ.-მ დაზარალებულის თავდასხმის მოსაგერიებლად და მის შესაშინებლად მიწის მიმართულებით ისროლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გ. ტ.-ს ხელში დაინახა შავი საგანი, რომელიც ცეცხლსასროლ იარაღად აღიქვა და რომლითაც მას დაზიანება მიაყენა თავის არეში, რადგან აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით სიცოცხლის მოსპობის წინაპირობას წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნა, რომლის ძირითადი კომპონენტია თავდასხმა, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის მომგერიებლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ის ფაქტი, რომ მ. ჟ.-მ გ. ტ.-ს შესაშინებლად მიწაში, ფეხების მიმართულებით ისროლა ახლო მანძილიდან, არ დასტურდება არც მსჯავრდებულ მ. ჟ.-ს, არც მოწმეთა ჩვენებებით და არც 2010 წლის 15 იანვრის ფიზი-

კო-ტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზის ^{112/}რან და ^{117/}რან დასკვნებით, სადაც აღნიშნულია: «გ. ტ-ს ტან-საცმელზე არსებული დაზიანებები წარმოქმნილია არა ახლო მანძილიდან გასროლის შედეგად».

ზემოაღნიშნული გარემოებები მოწმობს იმ ფაქტს, რომ შეხვედრის დროს გ. ტ-ს მხრიდან მ. ჟ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გამოყენების მცდელობა ან ამ უკანასკნელის მიერ ფიზიკურად მორევა მომხდარა, არ ჰქონია, რის გამოც მსჯავრდებულის მიმართ არ განხორციელებულა საშიში თავდასხმა, ის არ იმყოფებოდა ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის სახიფათო ისეთ მდგომარეობაში, რაც საჭიროს გახდიდა მის მიერ იარაღის გამოყენებას, მეტიც: შემთხვევის შემდეგ მ. ჟ-მ მიატოვა გ. ტ-ე, რომელიც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მწვავე, ზოგადი სისხლნაკლებობით, მუცლის მიდამოს გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობით დაზიანებული მაგისტრალური სისხლძარღვიდან და შინაგანი ორგანოებიდან განვითარებული შინაგანი სისხლდენის შედეგად გარდაიცვალა.

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების – გ. და ლ. ჟ-ს ადვოკატის – გ. ნ-ს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ საზოგადოების უპატივცემულობა არ გამოუვლენიათ და რომ ისინი წინასწარ არ შეკავშირებულან აღნიშნული მიზნით, ვინაიდან დაზარალებულების – ნ. ა-ს, ზ. ხ-ს, მოწმეების – ნ. ჩ-ს, ნ. ხ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ლ. ჟ-სთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ზ. ხ-ი სლოტკლუბში შევიდა, მას შეჰყვა ლ. ჟ-ა, ხოლო 10 წუთში – გ. ჟ-ც და დაუწყეს დაზარალებულებს ცემა, რაც გაგრძელდა ქუჩაში გამგლელების თვალწინ. მათ არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი, გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა ძალადობის გამოყენებით, რაც იძლევა ქმედების ხულიგნობით დაკვალიფიცირების საფუძველს.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ლ. ჟ-ს ჩვენებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან არ იცოდა, რომ მ. ჟ-მ ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ვინაიდან ის გახდა მკვლელობის თვითმხილველი და მ. ჟ-ს მიერ განხორციელებული გასროლების შემდეგ შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად, კერძოდ, თვით მსჯავრდებულების ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულების – ზ. ხ-ს, ნ. ა-ს, მოწმეების – ი. ს-ს, ბ. გ-ს, გ. მ-ს, მ. მ-ს, ნ. ჩ-ს, ნ. ხ-ს, გ. ს-ს, თ. ლ-ს, ზ. გ-ს, გ. ე-ს ჩვენებებით, მ. გ-ს, გ. კ-ს, ბ. ხ-ს დაკითხვის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, ბინის ჩხრეკის, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ექსპერტიზის ..., 1..., 1..., 1..., 1..., 1..., 1..., 1..., 1..., 1..., 1... და გამოკვლევის 1... დასკვნებით, მარნეულის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის 1... დადგენილებით მსჯავრდებულების მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მათ სწორი სამართლებრივი შეფასება აქვთ მიცემული და ამდენად, არ არსებობს განაჩენის გაუქმების საფუძველი.

ამასთან, ლ. ჟ-ს მიმართ გირაოს სახით შეტანილი 5000 ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად: «გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში».

საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის – ი. კ-ს გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო, გირაოს შემტანს – ი. კ-ს უნდა დაუბრუნდეს გირაოს თანხა – 5000 ლარი. სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ი. კ-ს მიერ გირაო შეტანილი 5000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა, კანონით დადგენილი წესით, დაუბრუნდეს მის შემტანს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. საპროცესო შეთანხმება

განჩინება

1185-აპ-11

27 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულების: თ. ე-ის, დ. გ-ისა და დ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულები:

დ. გ-ე, ნასამართლობის არმქონე, დ. მ-ი, ნასამართლობის არმქონე, თ. ე-ე, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც მათ სასჯელად განესაზღვრა 2-2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულები – დ. გ-ე და თ. ე-ე სასჯელს იხდიან 2010 წლის 4 ოქტომბრიდან, ხოლო დ. მ-ი – 2010 წლის 13 ოქტომბრიდან.

განაჩენით მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. მ-სა და თ. ე-ეს მსჯავრი დაედოთ სხვისი ნივთის დაზიანებაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 18 დეკემბერს შპს „კ-მა“, როგორც დამკვეთმა ფირმამ, ხელშეკრულება გააფორმა შპს „... 1-თან“, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელს დაევალი იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ქ. ფ-ში, ლ-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, აშენებინა ორი ხუთსართულიანი კორპუსი.

2010 წლის მაისში „... 1-ის“ საბანკო ანგარიშებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციამ დაადო ინკასო, რის გამოც მათ ურთიერთობა დაეძაბათ შპს „კ-ის“ ხელმძღვანელობასთან. შპს „კ-ის“ სახელით დ. მ-ი შეხვდა შპს „... 1-ის“ წარმომადგენელ ლ. ლ-ას და მოსთხოვა ხელშეკრულების გაწყვეტა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ცემითა და სიცოცხლის მოსპობით.

აღნიშნულის გამო, 2010 წლის 3 ოქტომბერს ლ. ლ-ამ, შპს „კ-ის“ ხელმძღვანელობის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის გამო, განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ. თბილისის ტერიტორიულ მთავარ სამმართველოს და გამოთქვა საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი.

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირების მხილების მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების კონტროლქვეშ 2010 წლის 3 ოქტომბერს, 12.01 საათზე, შპს „... 1-ის“ დამფუძნებელი ლ. ლ-ა და ფირმის დირექტორი დ. ლ-ა საკითხის გასარკვევად მივიდნენ შპს „კ-ის“ ოფისში (თბილისი, ა-ის ქუჩა 1...), სადაც მათ დახვდნენ აღნიშნული ფირმის დირექტორი დ. გ-ე, ფირმის კომერციული მენეჯერი თ. ე-ე და დ. მ-ი. საუბრის დაწყების შემდეგ ამ უკანასკნელებმა შეამჩნიეს ლ. ლ-ას პერანგის ღილზე დამაგრებული ვიდეოკამერა და განიზრახეს რა სხვისი ნივთის დაზიანება, ხელით მოგლიჯეს აპარატურა პერანგიდან, დააგდეს ძირს და დაამტვრიეს. აღნიშნული ვიდეოკამერა (BUთთONშ-ის მარკის) ერიცხებოდა შსს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს და მისი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1251.10 ლარს. ამდენად, მისმა დაზიანებამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა: თ. ე-ემ, დ. მ-მა, დ. გ-ემ და ითხოვეს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა: დ. გ-ემ, დ. მ-მა და თ. ე-ემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა საჩივრებით ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, საქმის წარმოებით შეწყვეტა და მსჯავრდებულების გამართლება.

2011 წლის 27 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორმა ე. ლ-მა, საქართველოს სსკ-ის 209–211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამარ-

თლის საქმეზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით, შეადგინა წერილობითი შეთანხმება ბრალზე გარიგების თაობაზე მასსა და მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. ძ-სა და თ. ე-ეს შორის.

პროკურატურამ მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალულობის ხარისხი, ასევე, ის გარემოება, რომ მსჯავრდებულები: დ. გ-ე, დ. ძ-ი და თ. ე-ე აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობენ გამოძიებასთან, საჯარო ინტერესების დაცვით, იმისათვის, რომ მაქსიმალური ეფექტურობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსები, 2011 წლის 27 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე-211-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, მსჯავრდებულებსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორ ე. ღ-ს შორის წერილობით გააფორმეს ოქმი საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ იქნა შეთანხმებული ზემდგომ პროკურორთან.

2011 წლის 27 მაისს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ე. ღ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასსა და მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. ძ-სა და თ. ე-ეს შორის 2011 წლის 27 მაისს დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 25 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ე. ღ-სა და მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. ძ-ს, თ. ე-ს შორის.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ე. ღ-მა მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას და ითხოვა, რომ მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. ძ-სა და თ. ე-ეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით, იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროთ: დ. გ-ესა და თ. ე-ეს – 7-7 თვითა და 23-23 დღით, ხოლო დ. ძ-ს – 7 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა. ასევე ითხოვა მათთვის, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად ჯარიმის – 50.000-50.000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულებმა: დ. გ-ემ, დ. ძ-მა, თ. ე-ემ და მათმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ყ-მა.

სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე, საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა რა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების – ლ. ლ-ას, დ. ლ-ას ჩვენებებით, შპს „კ-ის“ ოფისის დათვალიერების ოქმით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების (ფარული ვიდეო და აუდიოჩანწერის) ამსახველი მასალით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის¹... დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულთათვის საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულთა მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა; ამასთან, მათ არ შეზღუდვიათ უფლება მიეღოთ იურიდიული დახმარება.

პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებულები სრულად აცნობიერებენ ბრალად შერაცხული დანაშაულის ხასიათს, მათთვის გათვალისწინებულ სასჯელს და საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. მსჯავრდებულები აცნობიერებენ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

მსჯავრდებულთათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მათი კონსტიტუციური უფლებების შესახებ, მათთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მათ არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროკურორმა ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასებები გააკეთა სწორად ბრალსა და სასჯელზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. სასამართლო ასევე იზიარებს პროკურორის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულებს გააჩნიათ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ, აღიარებენ და გულწრფელად ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს.

ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის პროკურორ ე. ღ-ის შუამდგომლობა მსჯავრდებულების: დ. გ-ის, დ. ძ-ისა და თ. ე-ის მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 209-ე-216-ე მუხლებით,

დაადგინა:

დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ე. ლ-სა და მსჯავრდებულებს: დ. გ-ეს, დ. ძ-სა და თ. ე-ეს შორის.

დ. გ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 50.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დ. გ-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 4 ოქტომბრიდან. მსჯავრდებულ დ. გ-ეს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალოს სასჯელის მოხდის ვადაში და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

დ. ძ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად და ზომად განესაზღვროს 7 თვითა და 14 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 50.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დ. ძ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 13 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულ დ. ძ-ს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალოს სასჯელის მოხდის ვადაში და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

თ. ე-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად და ზომად განესაზღვროს 7 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 50.000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თ. ე-ეს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2010 წლის 4 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებულ თ. ე-ეს პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალოს სასჯელის მოხდის ვადაში და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

7. ექსტრადიცია

განჩინება

1271-10

18 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

დ. სულაქველიძე

მონაწილეობით განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. პ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს ... რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ვ. პ-ი, დაბადებული რესპუბლიკის ქ...., ... რესპუბლიკის მოქალაქე, სამართალში არყოფილი, რეგისტრირებული:

... რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული მასალებით ირკვევა, რომ ვ. პ-ს ბრალად ედება ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, 28-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 222-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე 235-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2010 წლის 8 თებერვალს ვ. პ-ი მიცემულ იქნა პასუხისმგებლობაში ზემოაღნიშნული ბრალდებით და 2010 წლის 2 ივნისს მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. 2010 წლის 3 ივნისს ... რესპუბლიკის ქ.... .. რაიონული სასამართლოს დადგენილების საფუძველზე ვ. პ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ... რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ მებნილი ვ. პ-ს დაკავების შემდეგ თბილისის პროკურატურამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას ვ. პ-ს მიმართ საქესტრადიციო პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 14 ოქტომბრის განჩინებით ვ. პ-ს შეეფარდა საქესტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და იგი შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ... დაწესებულებაში. ვ. პ-ს საქესტრადიციო პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2010 წლის 12 ოქტომბრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა ... რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ვ. პ-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით ... რესპუბლიკის სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 222-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო არ დაკმაყოფილდა ... რესპუბლიკის სსკ-ის 235-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 193-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით.

2010 წლის 28 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ვ. პ-მ და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება ვ. პ-ს ... რესპუბლიკისთვის გადაცემის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ვ. პ-ი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან გათავისუფლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

... ადამიანის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა, რაც ნათელია საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალი დასკვნითა და მოხსენებით. სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც პირადად უპირისპირდებიან პრეზიდენტ ნ. ნ-ს მიერ დასახულ კურსს ან განეკუთვნებიან პრეზიდენტთან დაპირისპირებული პირების ახლო გარემოცვას.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. პ-ს ექსტრადიციის შესახებ დადგენილების მიხედვით, გადასახადის გადაუხდელობის ნაწილში მისი ქმედება გაიგივებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების ორგანიზება, ჩადენილი არაერთგზის) გათვალისწინებულ დანაშაულთან. ხსენებული მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირს ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა.

ამრიგად, ამ მუხლის იმპერატიული მოთხოვნის მიხედვით, ვ. პ-ს ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემამდე, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოდ უნდა ჩაჰბარდეს საგადასახადო მოთხოვნა და მას აქვს უფლება, გადაიხადოს დარიცხული თანხა, ან შესაბამისი პროცედურების გამოყენებით მოახდინოს თანხის კორექტირება. ბრალდებულად პასუხისმგებაში მიცემა შესაძლებელია ოფიციალური მოთხოვნის მიღებიდან მხოლოდ 45 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ. ვ. პ-ს განმარტებით, ეს მისი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული პირის, არსებითი უფლებაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი იცავს მას სისხლისსამართლებრივი დევნისაგან შეტყობინების ჩაბარებიდან 45 სამუშაო დღის განმავლობაში. ვ. პ-ს მსგავსი შეტყობინება არ ჩაჰბარებია, უფრო მეტიც: მისთვის საერთოდ უცნობი იყო ის გარემოება, რომ ... მის მიმართ მიმდინარეობდა გამოძიება. იგი არ ყოფილა უზრუნველყოფილი დაცვის უფლებით, არ ჰქონია შესაძლებლობა, გასცნობოდა მასალებს, განეხორციელებინა კანონით მონიჭებული უფლებები. ამ მუხლის საფუძველზე ვ. პ-ს პატიმრობაში ყოფნა და ექსტრადიცია უკანონოა. მისი ქმედება გადასახადების გადაუხდელობის ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არ არის დასჯადი მისთვის მოთხოვნის ჩაბარებამდე. ამის გარეშე ხსენებული მუხლით საქართველოში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ დაიწყება. შესაბამისად, უკანონოა ამ ქმედებისათვის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა.

ვ. პ-ს მოსაზრებით, მის მიმართ ასევე დარღვეულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება, რომლის მიხედვით, დადგენილებაში ბრალდებულად ცნობის შესახებ უნდა აღინიშნოს გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დაკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

მასალებში მოიპოვება ვ. პ-ს ბრალდებულად ცნობის შესახებ 2010 წლის 1 ივნისის დადგენილების ასლი. მისი შინაარსი ძალზე ზოგადია: არ არის მითითებული კონკრეტული ტრანზაქცია ან წერილობითი მტკიცე-

ბულება; დადგენილებაში ასევე არ არის მითითებული გამოძიების მიერ მოპოვებული არც ერთი მტკიცებულება (მოწმის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა, რევიზიის აქტი ან სხვა); დასკვნები მის მიერ თითქმის ჩადენილი ქმედებების შესახებ არაფერს არ ემყარება; მითითებულია მხოლოდ ... დათარიღებული საგადასახადო შემოწმების 1..., 1... და 1... აქტები; როგორც მასალებიდან ირკვევა, მის მიმართ გამოძიება დაიწყო 2010 წლის 11 მაისს, ე.ი. საგადასახადო შემოწმების აქტები შედგენილია გამოძიების დაწყებამდე ერთი წლით ადრე. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ისინი ვერ იქნება მიჩნეული მტკიცებულებად.

ამრიგად, ვ. პ-ს მოსაზრებით, დადგენილება მისი ბრალდებულად ცნობის შესახებ არის სრულიად დაუსაბუთებელი, მასში მოყვანილი მსჯელობა არ ემყარება არც ერთ მტკიცებულებას. იგი წარმოადგენს უკანონო დოკუმენტს, რომლის საფუძველზე ასევე უკანონოა მისი როგორც პასუხისგებაში მიცემა, ასევე – ექსტრადიცია. ეს დადგენილება ნათლად ადასტურებს, რომ ვ. პ-ს მიმართ ხორციელდება არა სამართლებრივი, არამედ – პოლიტიკური დევნა. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა სრული არარსებობა.

«სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, საქართველოს კანონმდებლობით, ამნისტირებულია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლს კვლავ შეეხო ამნისტია 2007 წლის 29 ნოემბრის კანონით, რომლის მიხედვით, ამ დანაშაულის 2007 წლის 15 ნოემბრამდე ჩამდენ პირებს სასჯელი გაუნახევრდათ.

2011 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ვ. პ-მ და ითხოვა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლა გირაოთი – 100 000 ლარის ოდენობით იმ მოტივით, რომ 2010 წლის 8 დეკემბერს დამატებით დაიკითხა, სადაც მისცა სრული და ობიექტური ჩვენება მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ყველა ეპიზოდთან დაკავშირებით და მან ითანამშრომლა გამოძიებასთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. პ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება შეიცვალა გირაოთი – 100 000 ლარის ოდენობით და გათავისუფლდა პატიმრობიდან.

2011 წლის 3 თებერვალს საქართველოს მთავარ პროკურატურაში ... რესპუბლიკის გენერალური პროკურატურიდან მიღებულ იქნა წერილი, რომლის თანახმად ... რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილებით ვ. პ-ს მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ... რესპუბლიკის სსკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ... რესპუბლიკის სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-12 პუნქტის საფუძველზე (ქმედითი მონაწილეობა).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის მიერ 2011 წლის 14 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების გაუქმებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ვ. პ-ს ყაზახეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხის შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინების გაუქმება იმ საფუძველზე, რომ არ არსებობს ექსტრადიციის განხორციელების საფუძველი, კერძოდ:

... რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელის 2011 წლის 26 იანვრის დადგენილებით ვ. პ-ს მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ... რესპუბლიკის სსკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ... რესპუბლიკის სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-12 პუნქტის საფუძველზე (ქმედითი მონაწილეობა); ამასთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის მიერ 2011 წლის 14 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების გაუქმებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ვ. პ-ს ... რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხის შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატი ი. ჟ-ი და ვ. პ-ი დაეთანხმნენ პროკურორ ი. დ-ს მოთხოვნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა ... რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა ვ. პ-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით ... რესპუბლიკის სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 222-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო არ დაკმაყოფილდა ... რესპუბლიკის სსკ-ის 235-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 193-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით.

აღნიშნული დადგენილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 იანვრის განჩინებით ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. პ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება შეიცვალა გირაოთი – ... ლარის ოდენობით და ვ. პ-ი გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის 3 თებერვალს ... რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ აცნობა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომ 2011 წლის 26 იანვარს ... რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტის საგამომიებო-ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელის დადგენილებით ... რესპუბლიკის სსკ-ის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ... რესპუბლიკის სსსკ-ის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მე-12 პუნქტის საფუძველზე ვ. პ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ქმედითი მონაწილის გამო. აღნიშნულის საფუძველზე ... რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ ითხოვა ვ. პ-ს ექსტრადიციის საკითხის განუხილველად დატოვება.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ვ. პ-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულების გამო, რომელთათვისაც მოითხოვებოდა მისი ექსტრადიცია, არ არსებობდა საექსტრადიციო წარმოებისა და ექსტრადიციის განხორციელების საფუძველი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის მიერ 2011 წლის 14 თებერვალს გამოტანილ იქნა დადგენილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების გაუქმებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ვ. პ-ს ... რესპუბლიკაში ექსტრადიციის საკითხის შეწყვეტის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება ვ. პ-ს ... რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, საქართველოს კანონით „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» და

და ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2010 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება ვ. პ-ს ... რესპუბლიკისთვის გადაცემის შესახებ, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

ვ. პ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდეს და გირაოს სახით შეტანილი თანხა დაუბრუნდეს მის შემტანს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

15-11

10 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ი. ტყეშელაშვილი

მონაწილეობით განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. პ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ... სამმართველოს მე... განყოფილების თანამშრომლებმა ... სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე საქართველოდან გასვლისას დააკავეს ... რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის არხებით წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნილი, ... რესპუბლიკის მოქალაქე ვ. კ-ი, დაზადებული ... წლის ... რესპუბლიკაში, ქ. ქ-ში, ... რესპუბლიკის მოქალაქე, რეგისტრირებული: ... რესპუბლიკა, ..., ...-ში.

2010 წლის 4 ოქტომბერს ... მუნიციპალიტეტში, ... რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ვ. კ-ს შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით და შესახლებულ იქნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ¹... დაწესებულებაში.

2010 წლის 28 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით ვ. კ-ს საექსტრადიციო პატიმრობა გაუგრძელდა 3 თვის ვადით, 2011 წლის 2 აპრილამდე.

2010 წლის 10 ნოემბერს თავდაპირველად ელექტრონული ფოსტით, ხოლო 2010 წლის 18 ნოემბერს ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში ... რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალური სამინისტროდან შევიდა შუამდგომლობა, თანდართული საექსტრადიციო მასალებით, ვ. კ-ს ... რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ. შუამდგომლობისა და მოწოდებული მასალების თანახმად, ვ. კ-ს ბრალად ედება ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

აღნიშნული ქმედებისათვის ... რესპუბლიკის ქ. ... სამხარეო კრიმინალური დეპარტამენტის სამეწარმეო დანაშაულების საგამოძიებო სამსახურში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ვ. და ს. კ-ების მიმართ, ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თაღლითობა, რამაც გამოიწვია 50 000 ევროზე მეტი ზიანი) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2010 წლის 9 აგვისტოს სასამართლოს თანხმობის საფუძველზე ... რესპუბლიკის ქ. ... პროკურატურამ გამოიტანა დაპატიმრების ბრძანება ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ვ. კ-ს მიმართ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილებით დაკმაყოფილდა ... რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს შუამდგომლობა ვ. კ-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით, მის მიერ ... რესპუბლიკის სსკ-ის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თაღლითობა, რამაც გამოიწვია 50 000 ევროზე მეტი ზიანი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

2011 წლის 21 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა ვ. კ-მა და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება ვ. კ-ს ... რესპუბლიკისთვის გადაცემის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ვ. კ-ი კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან გათავისუფლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

განჩინება დაუსაბუთებელი და უსამართლოა, სწორად და მართებულად არ არის დანახული, გათავისუფლებული და შეფასებული ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ეფუძნება უმთავრესს – დარღვეული და იგნორირებულია ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის პარიზის ევროპული კონვენციის რიგი კონკრეტული მუხლების მოთხოვნები, კერძოდ:

ვ. კ-ს განმარტებით, იგი ... მოქალაქეა, წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, ეწევა ბიზნეს-საქმიანობას, რის გამოც უწევს სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული დროით ცხოვრება; საქართველოში მისი ჩამოსვლა განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით – ჰყავს ქართველი რძალი, ახლად შეუღლებული შვილის მეუღლე. იგი ოჯახის წევრებთან ერთად 2010 წლის ზაფხულში ეწვია საქართველოს რძლის ოჯახის გასაცნობად, ამასთან, გადაწყვიტა ზღვისპირეთში დასვენება დაგეგმილ სამედიცინო ოპერაციამდე, რომელიც უნდა ჩატარებოდა მარცხენა თეძოზე არსებულ სიმსივნურ წარმონაქმნზე; პარალელურად, თავის ისტორიულ სამშობლოში, სომხეთში, დაგეგმილი ჰქონდა საქმიანი ვიზიტები და საქართველოდან ამის განხორციელებას მარტივად შეძლებდა. საქართველოში ყოფნისას მოუწია გამგზავრება ... და უკან რამდენჯერმე დაბრუნება, რასაც ადასტურებს მის პასპორტში გაკეთებული ჩანაწერები.

ვ. კ-სთვის მოულოდნელი და გაუგებარია ის ფაქტი, რომ არის ძებნილი, ვინაიდან არავისგან დამალვას არ ცდილობს, თავისი ქმედებით არავისთვის ზიანი და ზარალი არ მიუყენებია და კანონდასჯადი ქმედება არ ჩაუდენია, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ... რესპუბლიკაში დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, რომელიც ეხება ორ ფირმას შორის წარმოებულ საქმიანობას, სადაც მას შეხება ჰქონდა როგორც მენეჯერს. დავის საგანია საკონტრაქტო პირობების არაჯე-

როვნად შესრულება, რის თაობაზეც ერთ-ერთი ფირმა დაობს, რაც საერთაშორისო არბიტრაჟის განსახილველია.

ვ. კ-ს განმარტებით, იგი არის უკანონო პატიმარი, ირღვევა მისი უფლებები, კერძოდ:

თუკი საქართველოს მხარემ 2010 წლის 13 დეკემბრამდე ... მხარისგან მიიღო ყველა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც მას დაარწმუნებდა, რომ ექსტრადიციის მოთხოვნა იყო კანონშესაბამისი, რატომ გრძელდება საექსტრადიციო პატიმრობა და ასევე შემდგომი დროითაც – ვიდრე 2011 წლის 7 თებერვალს, არ მიიღეს დადგენილება. უდავოა, რომ საქართველოს მხარე ... მხარის მოთხოვნას და დოკუმენტაციას რევიზიას არ ჩაუტარებდა, შესაბამისად, გაუგებარია რატომ დასჭირდა 150 დღეზე მეტი პატიმრობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას ექსტრადიციაზე. იგი იმყოფება მკაცრი რეჟიმის ¹... დაწესებულებაში, ექვსკაციან საკანში, სადაც ყოველდღიურად უარესდება მისი შელახული ჯანმრთელობა; აქვს მცოცავი არითმია, არტერიული ცვალებადი წნევა, რამდენჯერმე ჰქონდა გულის შეტევა, გონების დაკარგვა, აწუხებს თიაქარი და მარცხენა მხარეს, თეძოზე, სიმსივნური წამონაზარდი, რომლის ქირურგიული ოპერაცია იყო დაგეგმილი გასული წლის ოქტომბერში და რაც მისი დაკავების გამო არ გაკეთებულა; სხეული განიცდის სიპტომიზაციას, ღრძილებზე გაუჩნდა სისხლნაჟღერებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინპლანტანტების დაზიანება და ინფექციის მძლავრი კერის გაჩენა. შესაბამისად, თუ ყოველივე ამაზე უსწრაფესად არ ჩატარდა კვალიფიციური, მრავალპროფილიანი დიაგნოსტიკური გამოკვლევა და მკურნალობა, არ არის გამორიცხული დადგეს ფატალური შედეგი.

ვ. კ-ს განმარტებით, ... პროკურორს ჰქონდა ინფორმაცია მისი გადაადგილების შესახებ, რასაც პირადად აწვდიდა მას ადვოკატის მეშვეობით. მან არაერთხელ დატოვა ... მისი ბიზნეს-საქმიანობიდან გამომდინარე და ყოველი დაბრუნების შემდეგ პროკურორი ინფორმირებული იყო აღნიშნულზეც და შემდგომ დაგეგმილ ვიზიტებზეც, მათ შორის – საქართველოში გამომგზავრებაზეც.

დაკავების შემდეგ, 2010 წლის 4 ოქტომბერს, ... მაგისტრმა მოსამართლემ შეუფარდა წინა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვის ვადით, რაც ... რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალურ სამინისტროს ეცნობა 2010 წლის 6 ოქტომბერს. ... მხარემ 19 ოქტომბერს ფედერალური მინისტრის სახელითა და შ. ბ-ს ხელმოწერილი გზავნილით დააფიქსირა, რომ იუსტიციის ფედერალური სამინისტრო უმოკლეს ვადაში მიაწვდიდა საქართველოს მთავარ პროკურატურას პირველად საბუთებს გამოყენებული საკანონმდებლო ასლების დართვით. ... მხარეს საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, კონკრეტული არც პასუხი და, შესაბამისად, არც დოკუმენტაცია ვადის დაცვით არ გამოუგზავნია. მხოლოდ 2010 წლის 10 ნოემბერს ელექტრონული ფოსტით, ხოლო 18 ნოემბერს ფოსტის საშუალებით მთავარ პროკურატურაში შევიდა ... რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს შუამდგომლობა ვ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ. მასალები იყო არასრული, არსებობდა ცდომილება, გარკვეული უზუსტობა, რის გამოც ავსტრიის რესპუბლიკის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს საერთაშორისო სისხლის სამართლის განყოფილების ხელმძღვანელს – ქ-ნ გ. ფ-ს გაეგზავნა წერილი, რომელსაც ხელს აწერდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი ი. დ-ე. გზავნილში, რიგი საკითხების წარმოჩენასთან ერთად, მოთხოვნილი იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, შეეფარდა თუ არა ვ. კ-ს ... წინასწარი პატიმრობა ჩადენილი დასრულებული თაღლითობის გამო და ასევე დაფიქსირდა თხოვნა – ... მხარეს გადმოეცა საქმის დაწვრილებითი შინაარსი აღწერილ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. ყოველივე ამის წარმოსაჩენად საქართველომ ... მხარეს განუსაზღვრა ვადა – 2010 წლის 13 დეკემბერი. დაფიქსირებული ცალსახად ცხადყოფს, რომ ექსტრადიციის მომთხოვნ მხარეს დარღვეული და იგნორირებული აქვს „ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ“ XVI მუხლის მე-4 პუნქტი.

ვ. კ-ს განმარტებით, არსად დამალვას არ აპირებს, მის ინტერესშია სიმართლის დადგენა. თხოვნის მიმღები მხარე თხოვნის გამომგზავნი მხარისაგან მიიღებს წერილობით დასტურს, სადაც ... მხარე უარს ამბობს მის ექსტრადიციაზე, რიგი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გამო.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატმა ბ. ქ-მ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, მან იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინების გაუქმება და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. კ-ს პატიმრობიდან გათავისუფლება, რასაც დაეთანხმა თავად ვ. კ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ვ. კ-ი არის ... რესპუბლიკის მოქალაქე. მას ბრალად ედება ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლით (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი თაღლითობა, რამაც გამოიწვია 50 000 ევროზე მეტი ზიანი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2010 წლის 9 აგვისტოს, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ... რესპუბლიკის ქ. ... პროკურატურამ გამოიტანა დაპატიმრების ბრძანება, ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლითა და 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ვ. კ-ს მიმართ.

საკასაციო პალატა ეთანხმება დადგენილებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება ვ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას ... რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და პრინციპს «ნონ ბის ინ იდემ».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 7 თებერვლის დადგენილება ვ. კ-ს ... რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიცია

განჩინება

181-11

3 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ვ. კ-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 15 დეკემბერს, 23 საათსა და 50 წუთზე, საქართველოში დააკავეს ... სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ვ. ს-ს ასული კ-ა....

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 დეკემბრის განჩინებით ვ. კ-ს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 მარტის განჩინებით ვ. კ-ს საექსტრადიციო პატიმრობა გაუგრძელდა 3 თვის ვადით.

2011 წლის 13 იანვარს თავდაპირველად ფაქსით, ხოლო 2011 წლის 3 თებერვალს – ფოსტის საშუალებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიდა ... იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა თანდართული საექსტრადიციო მასალებით ვ. კ-ს ... ექსტრადიციის შესახებ. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობისა და

მოწოდებული მასალების თანახმად, ოლქის შს მთავარი სამმართველოს ... საქალაქო სასამართლოს წარმომავალი სისხლის სამართლის საქმე ვ. კ-ს მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული ... სისხლის სამართლის კოდექსის (1960წ.) 141-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე კოდექსის 208-ე მუხლით.

აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის ვ. კ-ა 2000 წლის 23 მარტს მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ... სსკ-ის (1960წ.) 141-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2000 წლის 1 ივნისს ... ოლქის ... საქალაქო სასამართლოს დადგენილებით ვ. კ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. 2000 წლის 1 ივლისს მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. 2000 წლის 1 ივლისს ვ. კ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 30 მარტის დადგენილებით დაკმაყოფილდა ... იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა ვ. კ-ს ექსტრადიციასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ ... იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა შეესაბამებოდა „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპულ კონვენციას, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციას, „საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1996 წლის 6 დეკემბრის ორმხრივ ხელშეკრულებასა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, 2011 წლის 30 მარტის დადგენილებით მიჩნეულია, რომ არ არსებობს ვ. კ-ს ... ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

2011 წლის 14 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა ექსტრადიციას დაქვემდებარებულმა პირმა – ვ. კ-მ და ითხოვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 30 მარტის დადგენილების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება ვ. კ-ს ... გადაცემის შესახებ, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩა უცვლელად.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ვ. კ-ა კერძო საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინების გაუქმებასა და პატიმრობიდან განთავისუფლებას შემდეგ გარემოებათა გამო:

ვ. კ-ა მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ... სსკ-ის (1960წ.) 141-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ე.ი. მარცვა, ჩადენილი ისეთი ძალადობის მუქარით, რომელიც არ არის საშიში დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული დადგენილებით მიჩნეულია, რომ ვ. კ-ს მიმართ ბრალად შერაცხული ზემოხსენებული ქმედება დანაშაულად ითვლება საქართველოს კანონმდებლობითა და დასჯადია საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებით (მარცვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია). მოცემულ შემთხვევაში ... მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედებები შეესაბამება არა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტებს, როგორც ეს დადგენილებაშია მითითებული, არამედ – სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს და მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებს, ვინაიდან სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილს არ გააჩნია „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები მაკვალიფიცირებელ ნიშნებად, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშნები დამახასიათებელია მარცვის კვალიფიციური შემაღეწლობისათვის, როგორცაა მე-3 ნაწილი. ამასთან, მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ დადგენილებაშივე მითითებულია დაზარალებულისადმი მიყენებული ზიანის ოდენობის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, რაც 2000 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით შეადგენს 29 ლარსა და 60 თეთრს. 2006 წლის 28 აპრილის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარს ზევით, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზიანი, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, უნდა ამოირიცხოს, ხოლო „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა არ მოხდება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რის გამოც ვ. კ-ს ექსტრადიციას ... ამ მაკვალიფიცირებელი ნიშნის ნაწილში უნდა ეთქვას უარი, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

რაც შეეხება ... სსკ-ის 208-ე მუხლს, ე.ი. არასრულწლოვნის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, დადგენილებითა და განჩინებით მიჩნეულია, რომ აღნიშნულიც დანაშაულად ითვლება და დასჯადია საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (არასრულწლოვნის დაყოლიება მათხოვრობაზე ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე).

როგორც საექსტრადიციო მასალებიდან ირკვევა, კერძოდ: მხედველობაშია ამონარიდი ... სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლიდან (1960 წლის რედაქცია), ამ შემთხვევაში დანაშაულად ითვლება არას-

რულწლოვანი პირის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის სადღესოდ მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც დააწესებდა პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ჩაბმისათვის სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს. ამრიგად, „სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია განხორციელდება ისეთი დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებიც როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით ისჯება, სულ მცირე, ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მკაცრი სასჯელით. მსგავსი სახის დებულებებს შეიცავს „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მეორე მუხლიც; ამდენად, ვ. კ-ს ექსტრადიცია ... სსკ-ის 208-ე მუხლით არ უნდა განხორციელდეს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ იგი ... სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბრალდებულის სახით პასუხისგებაშია მიცემული ... სსკ-ის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მოცემულ შემთხვევაში დადგენილად არის მიჩნეული, რომ მან მარცვა ჩაიდინა ჯგუფურად ანუ არასრულწლოვან ი. რ-სთან ერთად, რაც თავისთავად აწესებს გამლიერებულ პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის ჩადენისათვის. მხედველობაშია მარცვის ჯგუფურად ჩადენა, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს დამატებით კვალიფიკაციას ანუ ... სსკ-ის 208-ე მუხლის ბრალად შერაცხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა – უკრაინის სსკ-ის 208-ე მუხლი და საქართველოს სსკ-ის 171-ე მუხლი არ წარმოადგენენ იდენტურ დანაშაულებს, არამედ თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, უარი უნდა ეთქვას ამ დანაშაულისათვის მის ექსტრადიციას უკრაინაში იმ მოტივითაც, რომ აღნიშნული გამოიწვევს ორჯერ ერთი და იმავე ქმედებისათვის გასამართლებას, რაც წარმოადგენს „ნონ ბის ინ იდემ“-ს პრინციპის დარღვევას.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ ... მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის ეჭვი არ არსებობს, უპირობოდ არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რომ მიმღები სახელმწიფო არ დაარღვევს ფუნდამენტურ უფლებებს.

გარდა ზემოთქმული გარემოებებისა, გასაჩივრებული დადგენილება უნდა გაუქმდეს იმის გამოც, რომ ვ. კ-ს დანაშაული არ ჩაუდენია, მის მიმართ ინკრიმინირებული ბრალდებები ხელოვნურადაა შექმნილი და, შესაბამისად, ემსახურება შემდგომში უსამართლო დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიზანს, რაც გამოიწვევს გამოუსწორებელ ზიანს. ... ექსტრადიციის შემთხვევაში ადგილი ექნება მის მიმართ არაადამიანურ და სასტიკ მოპყრობას, ხოლო ამ რწმენას განამტკიცებს ის გარემოება, თუ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაში იქნება მიღებული გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის დაცვის პოლიტიკის და იურიდიული კონსულტაციების სექტორის საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილების 2008 წლის რეკომენდაციები.

ასევე მხედველობაშია მისაღები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის 11 მარტის დასკვნა, რომლითაც ირკვევა, რომ ... ადამიანის უფლებათა მდგომარეობა კვლავაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან გამოვლენილია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები, რაც უკავშირდება დაკავებისას ცემას, წამებას და პენიტენციალურ სისტემაში უმძიმეს მდგომარეობას, ხანგრძლივ და თვითნებურ დაპატიმრებებს და ასევე არაეფექტურ და კორუმპირებულ სასამართლო სისტემას.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. დ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე ადვოკატებმა – ი. ნ-მ და ი. მ-მ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განჩინება მოცემულ საქმეზე კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ ვ. კ-ა არის ... მოქალაქე. იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ... სისხლის სამართლის კოდექსის (1960წ.) 141-ე მუხლის მეორე ნაწილითა და ამავე კოდექსის 208-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2000 წლის 1 ივნისს ... ოქტის ... საქალაქო სასამართლოს დადგენილებით ვ. კ-ს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პატიმრობა. 2000 წლის 1 ივლისს მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. 2000 წლის 1 ივლისს ვ. კ-ს მიმართ გამოცხადდა ძებნა.

საკასაციო პალატა ეთანხმება განჩინებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება ვ. კ-ს ექსტრადიციის შესახებ არ

ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს.

ამასთან, საქმეში არ არის მტკიცებულებები, რაც შეიძლება გამხდარიყო ექსტრადიციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება სრულად მოიცავს საექსტრადიციო პროცედურებს, ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს, პროცედურულ წესებს, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპს, ბრალდების ფაქტობრივ საფუძველს, დასჯადობას უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ასევე დასჯადობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს, დანაშაულის ხანდაზმულობას, პარალელური წარმოების წესებს და პრინციპს «ნონ ბის ინ იდემ».

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული დადგენილება შეესაბამება «ექსტრადიციის შესახებ» 1957 წლის ევროპული კონვენციით, «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ» მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციით, «საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» 1996 წლის 6 დეკემბრის ორმხრივი ხელშეკრულებითა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-15 ნაწილით, «სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ» საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 აპრილის განჩინება, რომლითაც ძალაში დარჩა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის – თ. ბ-ს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება ვ. კ-ს უკრაინისათვის გადაცემის შესახებ, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა

განჩინება

14'-10

15 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებაზე, რომლითაც ა. ჯ-ის დამცველს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენით ა. ჯ-ე, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გაუშვა რა საკასაციო გასაჩივრების ვადა, 2011 წლის 31 იანვარს მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ადვოკატმა მ. კ-ემ კერძო საკასაციო საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. საჩივარში იგი განმარტავდა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ ა. ჯ-ეს ჩაჰბარდა საპრო-

ბილუმში. ვინაიდან იმ პერიოდში ადვოკატი იყო შეუძლოდ, ჰქონდა ვირუსული დაავადება, აღნიშნებოდა მაღალი ტემპერატურა და მკურნალობდა არაამბოლატორიულად, რასაც განცხადებით ადასტურებენ ოჯახის წევრები: მეუღლე – ა. უ-ი და შვილი – მ. უ-ი, მისი შესვლა მსჯავრდებულ ა. ჯ-ესთან ვერ მოხერხდა. ამდენად, მისთვის უცნობი იყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის ჩაბარების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა მ. კ-ემ ითხოვა ზემოაღნიშნული გარემოების საპატიოდ ჩათვლა და საკასაციო გასაჩივრების დადგენილი ერთთვიანი ვადის აღდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლისა და აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. კ-ემ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში და ითხოვა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განჩინების გაუქმება და გაცდენილი საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 550-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

განაჩენი ა. ჯ-ის მიმართ დადგენილია 2010 წლის 23 დეკემბერს და იგი საპროცესო კანონით დადგენილ 1 თვის ვადაში არც ერთ მხარეს გაუსაჩივრებია.

შუამდგომლობაში მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ემ განმარტა საჩივრის შეტანის დაგვიანების მიზეზი. მან აღნიშნა, რომ მისთვის უცნობი იყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მსჯავრდებულისათვის ჩაბარების შესახებ, რადგან იმ პერიოდში იყო შეუძლოდ, ჰქონდა ვირუსული დაავადება, აღნიშნებოდა მაღალი ტემპერატურა და მკურნალობდა არაამბოლატორიულად, რაც დადასტურებულია სასამართლოში შემოსული მისი მეუღლისა და შვილის განცხადებით, რის გამოც ვერ შეძლო მსჯავრდებულ ა. ჯ-ესთან შესვლა და საჩივრის დროულად შეტანა.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, რაზედაც მხარეს უარი ეთქვა.

პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ მითითებული მიზეზი შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ და გასაჩივრების ვადის აღდგენის საფუძველი გახდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ადვოკატ მ. კ-ეს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. კ-ის კერძო საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 8 თებერვლის განჩინება და აღდგეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განაჩენის საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმა

განჩინება

**მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ა-ს კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის დადგენილებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის უფროს პროკურორსა და ნ. ა-ს შორის. იმავე განაჩენით ნ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 191-ე მუხლის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე და 43-ე მუხლების თანახმად, 2 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების განკარგვასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება. ასევე, სსკ-ის 41-ე და 52-ე მუხლების საფუძველზე ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის ზომად შეეფარდა ჯარიმა – 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ნ. ა-ს ძირითადი სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ამასთან, მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2010 წლის 20 სექტემბრიდან 2010 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით, ანუ 1 თვე და 2 დღე, ხოლო დარჩენილი 4 წელი, 4 თვე და 28 დღე სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, მასვე სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 41-ე და 43-ე მუხლების თანახმად, მას 2 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების განკარგვასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება. ასევე საქართველოს სსკ-ის 41-ე და 52-ე მუხლების გამოყენებით ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება:

მიწის ნაკვეთი – მდებარე ... რაიონში, ... მასივში, სარეგისტრაციო ნომერი – ..., სარეგისტრაციო ზონა – ..., კოდი-..., სექტორი – ... მასივი, კოდი-..., კვარტალი – 1..., ნაკვეთის 1..., ფართობი ... მ².

მიწის ნაკვეთი – მდებარე ... რაიონში, ... მასივში, სარეგისტრაციო ნომერი – ..., სარეგისტრაციო ზონა – ..., კოდი – ..., სექტორი – ... მასივი, კოდი-..., კვარტალი – 1..., ნაკვეთის 1..., ფართობი ... მ².

მიწის ნაკვეთი – მდებარე ... რაიონში, ... მასივში, სარეგისტრაციო ნომერი – ..., სარეგისტრაციო ზონა – ..., კოდი-..., სექტორი – ... მასივი, კოდი-..., კვარტალი – 1..., ნაკვეთის 1..., ფართობი ... მ².

ნ. ა-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

იმავე განაჩენით გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით ... რაიონში, ... მასივში მდებარე შემდეგ მიწის ნაკვეთებზე დადებული ყადაღა: 1. ... მ² ფართობის, სარეგისტრაციო ნომერი – ...; 2. ... მ² ფართობის, სარეგისტრაციო ნომერი – ...; 3. ... მ² ფართობის, სარეგისტრაციო ნომერი –

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ა-მა. ნ. ა-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ საპროცესო შეთანხმება დაადებინეს დაშინებით და მოტყუებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით ნ. ა-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2011 წლის 16 თებერვალს მსჯავრდებულმა ნ. ა-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. თავის განცხადებაში საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების მიზეზად ნ. ა-მა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მან არც კი იცოდა, თუ აღნიშნული დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელი იყო საკასაციო წესით. ამასთან, დადგენილების ასლი ჩაჰბარდა დადგენილების გამოტანიდან ერთი თვის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის დადგენილებით მსჯავრდებულ ნ. ა-ს უარი ეთქვა საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე.

მსჯავრდებულმა ნ. ა-მა აღნიშნული დადგენილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საჩივრით იგი ითხოვს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენას იმ მოტივით, რომ მან არ იცოდა, რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული დადგენილების გასაჩივრება საკასაციო წესით, ასევე, არ ფლობდა სამართალწარმოების ენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 523-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანა მხარეებს შეუძლიათ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში იმავე სასამართლოში, რის შესახებაც ცნობილი იყო კასატორ ნ. ა-სათვის. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მსჯავრდებულის ადვოკატი და თარჯიმანი, მხარეებს განემარტათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში დადგენილების გასაჩივრების წესი და გასაჩივრების ვადა. ამდენად, კასატორის განმარტება იმის თაობაზე, რომ მას დაგვიანებით ჩაჰპარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის დადგენილების ასლი და არ იცოდა აღნიშნული დადგენილების საკასაციო წესით მისი გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე, ასევე, არ ფლობდა სამართალწარმოების ენას, ვერ იქნება მიჩნეული მის მიერ საკასაციო გასაჩივრების ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

საქართველოს სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ შეიმღება, აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადა, მაგრამ სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი, დასაბუთებული და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენის კანონიერი საფუძველი, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის დადგენილება, რომლითაც მსჯავრდებულ ნ. ა-ს უარი ეთქვა მის მიერ არასაპატიო მიზეზით გაშვებული საკასაციო გასაჩივრების ვადის აღდგენაზე, არის კანონიერი და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ა-ს კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 29 აპრილის განჩინება, რომლითაც მსჯავრდებულ ნ. ა-ს უარი ეთქვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენაზე, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით

განჩინება

1851-აპ-10

28 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით ლ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – უვადო თავისუფლების აღკვეთა. დაკმაყოფილდა დაზარალებულთა უფლებამონაცვლეების: ა. ბ-ის, შ. შ-ისა და გ. ა-ის სამოქალაქო სარჩელები და ლ. გ-ს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება თითოეულის სასარგებლოდ 20 000 ლარის ოდენობით. სასჯელის მოხდის ვადა მას აეთვალა 2009 წლის 2 სექტემბრიდან.

განაჩენით ლ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ორი ან მეტი პირის მიმართ.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2009 წლის 27 აგვისტოს საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის 12 რეგიონალური სამმართველოს უფროს სერჟანტ ბ. ბ-ს შეკამათება მოუხდა ამავე სამსახურში მომუშავე კაპრალ ლ. გ-თან, რა დროსაც ბ. ბ-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ლ. გ-ს, კერძოდ, შეაგინა დედა. ეს სიტყვიერი შეკამათება ჩხუბში არ გადაზრდილა, რადგან ხსენებული პირები გააშველეს შემთხვევის შემსწრე თანამშრომლებმა.

2009 წლის 31 აგვისტოდან საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით, სასაზღვრო პოლიციის 12 სამმართველოს სერჟანტი ბ. ბ-ე, სერჟანტი შ. ა-ე და უფროსი სერჟანტი ა. შ-ე იმყოფებოდნენ სასაზღვრო პოლიციის 12 რეგიონალური სამმართველოს 11 სექტორის – „ი-ის“ დროებით საზაფხულო საგუშაგო „ს-ზე“, ხოლო ამავე საგუშაგოს ბლოკ-საგუშაგოზე იმყოფებოდნენ: მასტერ-სერჟანტი მ. ხ-ე, უმცროსი სერჟანტი ხ. მ-ე და კაპრალი ლ. გ-ი.

2009 წლის 1 სექტემბერს, სადამოს საათებში, ლ. გ-მა და ბ. მ-მ მიიღეს ალკოჰოლური სასმელი, რა დროსაც ლ. გ-მა განიზრახა, 2009 წლის 27 აგვისტოს ბ. ბ-ის მიერ მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, შურისძიების მიზნით მოეკლა იგი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე ღამეს, დაახლოებით 23 საათზე, მიატოვა ბლოკ-საგუშაგო და მასზე გაცემული სამსახურებრივი AKR-74 სისტემის 1818827 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული გაემართა, დაახლოებით, შვიდი კილომეტრით დაშორებული 11 სექტორის – „ი-ის“ დროებით საგუშაგო „ს-ის“ მიმართულებით, სადაც იმყოფებოდა ბ. ბ-ე.

2009 წლის 2 სექტემბერს, დაახლოებით 01 საათზე, ლ. გ-ი შევიდა საგუშაგოს ტერიტორიაზე, იარაღი მოიყვანა საბრძოლო, ავტომატურ რეჟიმში და ავიდა საგუშაგოს შენობის მეორე სართულზე, სადაც იმყოფებოდა ბ. ბ-ე, მორიგე ჯგუფთან ერთად. სამორიგეო ოთახში შესვლისას მას დახვდა შეიარაღებული მორიგე – გუშაგი ა. შ-ე. ლ. გ-მა განიზრახა მისი მოკვლა და დასახული განზრახვის სისრულეში მოყვანის გაადვილების მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ა. შ-ს, რომელიც უგონოდ დაეცა იატაკზე, რის შემდეგაც მივიდა დასასვენებელი ოთახის შესასვლელთან და დაინახა, რომ ოთახში ბ. ბ-სთან ერთად იმყოფებოდა შ. ა-ე, რომელიც ჩადენილი ქმედების (უკვე სისრულეში მოყვანილი ა. შ-ის მკვლელობის და განზრახული განსახორციელებელი ბ. ბ-ის მკვლელობის) ფაქტობრივი გარემოებების მოწმე შეიქმნებოდა, რის გამოც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა საწოლში მყოფს, ხოლო შემდეგ ხმაურზე საწოლიდან წამოდგარ ბ. ბ-ს, რის შემდეგაც, სასურველი შედეგის დადგომაში დარწმუნების მიზნით, ბ. ბ-ისა და ა. შ-ის მიმართ განახორციელა საკონტროლო გასროლები. სულ შემთხვევის ადგილზე გაისროლა ოცდაექვსი ვაზნა, რის შემდეგაც, სამივე სამიზნე ობიექტის გარდაცვალებაში დარწმუნებულმა, აიღო ბ. ბ-ისათვის გადასაცემად გამზადებული, საგუშაგოზე რიცხული AKR-74-Y-ს სისტემის 1920092 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ერთი მჭიდით და ოცდაათი საბრძოლო ვაზნით და დაბრუნდა ბლოკ-საგუშაგოზე, სადაც ბ. მ-ს და მ. ხ-ს გაუმხილა მხოლოდ ბ. ბ-ის მკვლელობის ფაქტი, რომელთა რჩევით, ტელეფონით შეატყობინა მეუღლის ნათესავს, სასაზღვრო პოლიციელს, 12 რეგიონალური სამმართველოს 17 სექტორის უფროსს ჯ. ა-ს. ბ. მ-სა და მ. ხ-სთან შეთანხმების შემდეგ მან ბლოკ-საგუშაგოზე მიატოვა ორივე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მიიმალა. მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობების შედეგად ბ. ბ-ე, შ. ა-ე და ა. შ-ე ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ლ. გ-ი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. გ-მა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ლ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეცვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ის მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ორი ან მეტი პირის მიმართ დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, მისი აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა და დაზარალებულთა უფლებამონაცვლების ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, საგამომიებო მოქმედების ოქმებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

რაც შეეხება სამოქალაქო სარჩელს, იგი თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაზარალებულის უფლებამონაცვლე ა. ბ-ის მიმართ დააკმაყოფილა სრულად, ხოლო დაზარალებულის უფლებამონაცვლეების: შ. შ-ისა და გ. ა-ის სარჩელები – ნაწილობრივ, კერძოდ, მსჯავრდებულ ლ. გ-ს თითოეულის სასარგებლოდ დაეკისრა მათთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის 20000-20000 ლარით ანაზღაურება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია დაზარალებულის უფლებამონაცვლეებისადმი მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, კერძოდ: სისხლის სამართლის საქმეს ერთვის სასაქონლო ზედნადებები და შპს «ბაზრის» დირექტორის მიერ გაცემული ცნობა, სადაც ასახულია დაკრძალვისათვის საჭირო ნივთებისა და პროდუქტების საბაზრო ღირებულება 2009 წლის ბოლო პერიოდის მდგომარეობით, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებში ასახული მონაცემები არ შეესაბამება განაჩენში მითითებულ მსჯელობას მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობის თაობაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მითითებული დოკუმენტები არ ყოფილა გამოკვლეული სასამართლო განხილვისას საქართველოს სსსკ-ის მოთხოვნათა დაცვით, მისი სანდოობის, დასაშვებობისა და შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც გამორიცხავს მათი მტკიცებულებების სახით გამოყენების შესაძლებლობას.

ლ. გ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის წარმოების არც წინასწარი გამოძიების და არც სასამართლო განხილვის ეტაპებზე არ წარმოდგენილა არც ერთი მტკიცებულება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, განსაზღვრულიყო დაზარალებულის უფლებამონაცვლეების – შ. შ-ისა და გ. ა-ისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნა ამ ნაწილში ემყარება მხოლოდ ვარაუდს.

რაც შეეხება მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ი არ იცნობს დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლისათვის მიყენებული მორალური ზიანის ფულადი კომპენსაციის სახით ანაზღაურების შესაძლებლობას. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, მორალური ზიანი ფულადი კომპენსაციით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს თვით დაზარალებული, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს არ შეიძლება, მორალური ზიანი აუნაზღაურდეს ფულადი კომპენსაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ივლისის განაჩენი გაუქმდეს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში და საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაეცეს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა

განჩინება

1814-აპ-10

12 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ვ. დ-ისა და ლ. მ-ას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განაჩენზე ვ. დ-ის, ლ. მ-ასა და ჯ. ნ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 12 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ვ. დ-ე – საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ბინაში უკანონო შეღწევით, ასევე – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ;

2. ლ. მ-ა – საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჯგუფურად და არაერთგზის ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ბინაში უკანონო შეღწევით;

3. ჯ. ნ-ე – საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, ასევე – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა.

დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მსჯავრდებულთა ქმედებები კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 იანვრის დადგენილებით ვ. დ-ეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

2009 წლის 4 ნოემბერს ვ. დ-ე დაუკავშირდა ლ. მ-ასა და ჯ. ნ-ეს. მათ განიზრახეს, უკანონოდ შეეღწიათ ზესტაფონში მცხოვრები ე. კ-ის საცხოვრებელ ბინაში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ სხვადასხვა ნივთებს.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2009 წლის 4 ნოემბერს ბოროტმოქმედები ქუთაისიდან ჩავიდნენ ზესტაფონში, ლ. მ-ას მიერ წინასწარ მომარჯვებული მორგებული გასაღებებით გააღეს ე. კ-ის საცხოვრებელი სახლის კარი და შეაღწიეს ბინაში. ნივთების ფარულად დაუფლების მცდელობისას ისინი ამხილეს და დააკავეს პოლიციელებმა. პირადი ჩხრეკის შედეგად ვ. დ-ისაგან ამოიღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული 13,63 გრამი მშრალი «მარიხუანა». იმავე დღეს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ვ. დ-ეს დაუდგინდა „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანა“) განმეორებით, უკანონოდ მოხმარების ფაქტი. ასევე პირადი ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავებმა ჯ. ნ-ეს ქურთუკის მარცხენა ჯიბიდან ამოუღეს უკანონოდ შეძენილი და შენახული, გაზეთში შეხვეული 9,06 გრამი ნარკოტიკული საშუალება მშრალი «მარიხუანა».

აღნიშნული ქმედებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 59-ე მუხლის 1¹ ნაწილის საფუძველზე ვ. დ-ეს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 8500 ლარი; ჯ. ნ-ეს – 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 8000 ლარი, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 9 თვის ვადით, ასევე ჯარიმა – 8000 ლარი; ლ. მ-ას – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 3500 ლარი. ვ. დ-ესა და ჯ. ნ-ეს 5 წლით ჩამოერთვათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები. მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2009 წლის 4 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ვ. დ-ემ და ლ. მ-ამ და ადვოკატმა თ. ო-ემ. მათ ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულები – ვ. დ-ე და ლ. მ-ა საკასაციო საჩივრებით ითხოვენ სასჯელების, როგორც მეტისმეტად მკაცრის, შემსუბუქებას, მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გარდა სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ვ. დ-ე და ჯ. ნ-ე მსჯავრდებულნი არიან სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. სააპელაციო საჩივრები მოცემულ საქმეზე განხილულია ერთპიროვნულად, რაც ეწინააღმდეგება სსსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს და ამავე კოდექსის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის გამო, მოცემულ შემთხვევაში პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრების მოტივებზე.

საქმის ხელახლა განხილვისას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხვა შემადგენლობამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული მითითება და, გარდა ამისა, სსსკ-ის 543-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით – ჯ. ნ-ის მიმართაც, რის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ივნისის განაჩენი ვ. დ-ის, ლ. მ-ას და ჯ. ნ-ის მიმართ, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა

განჩინება

1128-აპ-11

12 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ფ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ა. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით (2008 წლის სექტემბრის ეპიზოდი) – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 151-ე მუხლით (2010 წლის აპრილის ეპიზოდი) – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2010 წლის 2 მაისიდან.

დაზარალებულ ნ. ც-ს სამოქალაქო სარჩელი წარმოუდგენლობის გამო დარჩა განუხილველი და მასვე მიეცა უფლება, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმართოს განსჯად სასამართლოს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ა. ფ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის სექტემბერში ა. ფ-ი დაქორწინდა ნ. ც-ზე. მათ შორის სისტემატურად ხდებოდა ოჯახური კონფლიქტი. 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ა. ფ-მ ექვიანობის ნიადაგზე, მთვრალმა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ნ. ც-ს, რომელიც დაეცა, ა. ფ-მ აიღო სამზარეულოს დანა და მოკვლის მუქარით დაედევნა მეუღლეს. ნ. ც-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ა. ფ-მ მას სამზარეულოს დანით მარცხენა ხელის მტევნის მე-5 თითის საფრჩხილე ფალანგის წინა ზედაპირზე მიაყენა დაზიანება.

ა. ფ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 2 „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა, 3 „რგდ-5“ ტიპის ხელყუმბარა და 11 „აკს“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

2010 წლის აპრილში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ა. ფ-მა ექვიანობის ნიადაგზე ნ. ც-თან მორიგი კონფლიქტის დროს, საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში არსებული ტელევიზორის სადგამის თაროდან გამოიღო ერთი „რგდ-5“ ტიპის ხელყუმბარა, მოხსნა დამცავი რგოლი და დაემუქრა ნ. ც-ს სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც ამ უკანასკნელს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, შემდეგ ა. ფ-მა ხელყუმბარა ააფეთქა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ა. ფ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმს ხელს არ აწერს სხდომის თავმჯდომარე, რაც სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ნ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ჩატარდა ზეპირი მოსმენის გარეშე და, შესაბამისად, მტკიცებულებები არ გამოკვლეულა.

ასეთ ვითარებაში პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს საკასაციო საჩივრის მოტივებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი, მხარეთა მონაწილეობით სრულად უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება. ამასთან, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად არ უნდა გაუარესდეს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ ა. ფ-ს მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.